პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
29
ივნისი
№ 150
(17793)
ფასი
2 კაპ.

საქართველოს მრეწველობის წარმატება

როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის შესრულებისათვის, ვადაზე ადრე, 28 ივნისს, გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის დამზადების იანვარ-ივნისის გეგმა.

საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივები, რომლებმაც უდიდესი ქმაყოფილებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, — პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და დადგენილება სკკპ XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, თავიანთ მიტინგებზე, კრებებზე ახალი [illegible] ვალდებულებებს კისრულობენ ქვეყნის კომუნისტთა მორიგი ფორუმის ღირსეულად [illegible]

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმის შესრულებისათვის, ვადამდე, 28 ივნისს, უპატაკეს სამშობლოს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის დამზადების პირველი ნახევარწლეულის გეგმის განაღდება.

თბილისის მრეწველობის მუშაკებმა გადაწყვიტეს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას.

(საქინფორმი).

ხარისხიანი საქონელი — ხალხს!

ეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მსუბუქი, ადგილობრივი და მძიმე მრეწველობის სამინისტროების ბევრმა საწარმომ გაადიდა მახსობრივი მოთხოვნის საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების ასორტიმენტი, მკვეთრად გააუმჯობესა მათი ხარისხი. მაღაზიებში ადგილობრივი ნედლეულისგან დამზადებული ისეთი ნივთები, რომლებიც ადრე დეფიციტად ითვლებოდა. ახლა გაცილებით მეტი რაოდენობით ვხედავთ მხატვარ-მემოდელეთა რეკომენდაციით ადგილობრივი მასალებით დამზადებულ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ასობით ფართო მოხმარების საგანს: ფაიფურის ჭურჭელს, ჩაიდნებს, ბამბის საცვლებს, ცხვირსახოცებს, პერანგებს და სხვა.

მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1976-1980 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

იმ საწარმოებში, რომელთა ხელმძღვანელობამ პარტიისა და მთავრობის ეს დოკუმენტი ყოველდღიური მოღვაწეობის პროგრამად გაიხადა, შედეგსაც მიაღწიეს. ბევრმა მათგანმა უმნიშვნელო კაპიტალდაბანდებით შეძლო განეხორციელებინა მცირე რეკონსტრუქცია, შეემჭიდროვებინა საწარმოო ფართობები და ამის შედეგად გაედიდებინა პროდუქციის გამოშვება, მოლიანად განეახლებინა მოდიდან გამოსული ფართო მოხმარების საქონელი. ზოგმა საწარმომ კი მნიშვნელოვან ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო სახსრები ბანკისაგან ისესხა, მიიღო უკუგება და სახელმწიფოს ვალიც მალე გაისტუმრა. ასე მოიქცნენ ისინი, რომლებიც ნამდვილი მეურნის თვალით უყურებენ და წონიან საქმეს, იციან ღონისძიებათათვის გათვალისწინებული ყოველი კაპიკის ფასი და გამოყენება.

სამწუხაროდ, ასეთი მეურნეობით ჩვენ ძალიან განებივრებულები არა ვართ. ბევრი საწარმოს ხელმძღვანელი სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, დაკარგული აქვს სიახლის გრძნობა. დასანანი ის არის, რომ მძიმე მრეწველობის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს მასობრივი მოხმარების საქონლის დამზადება მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ და სისტემატურად ფუშავენ გეგმის შესრულებას. თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა“, მაგალითად, ვერ იქნა და ვერ მოაბა თავი ქართული ბარის, თოხის, აგრეთვე ბოქლომისა და ძალაყინების გამოშვების ათვისებას, ხოლო გაერთიანება „საქღვინომანქანამ“ — პლასტმასის გადამრთველების დამზადების დავალებას. სამზარეულოს გამნაიებელი, საბაბანოს ტრაპები, ხორცსაკეპების დანები, ღობე-ბადეები — აი არასრული სია იმ საგნებისა, რომლებიც თავის დროზე ვერ მიაწოდეს მომხმარებლს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელმა“, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო და საინსტრუმენტო ქარხნებმა, გაერთიანება „საქსოფლმანქანამ“.

ყველაზე საკვირველი მაინც ის არის, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელებმა არ შეიტანეს თავიანთ მომდინარე წლის გეგმებში ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული მასობრივი მოხმარების საქონლის გამოშვება. ჩვენ ვეკითხებით საწარმოო გაერთიანებების — „კავკასტრანსფორმატორის“ და „ელმავალმშენებლის“, აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელებს: ვინ დაამზადებს მათ მაგივრად ნავარაუდევ 50 ათას ცალ უთოს, ელექტროსახურებელ ელემენტებს და ჭურებს, 120 ათას ცალ საყავეს, 25 ათას ცალ პირსახოცის საშრობს, 7 ათას ცალ საადგილო დასაკეცი მაგიდას. 85 ათას ცალ ლურსმანსაძრობ ძალაყინს? ძალიან საეჭვოა, რომ მათი გასაკეთებელი სხვამ გააკეთოს იმ დროს, როცა ყველას უამრავი დავალება აქვს შესასრულებელი. ალბათ, ამ საკითხს მსჯელობის საგნად გაიხდიან პარტიის ის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, რომელთა კომპეტენციაშიც ზემოხსენებული საწარმოები შედის.

„უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, გაზეთების რედაქციებში მოდის წერილები და საჩივრები ისეთი საქონლის ვაჭრობაში შეფერხებათა შესახებ, რომელსაც რატომღაც „წვრილმანებად“ ნათლავენ: უმარტივესი მედიკამენტები, საპონი, სარეცხი ფხვნილი, კბილის ჯაგრისი და პასტა, ნემსი, ძაფი, ბავშვის საცვლები, მსუბუქი მრეწველობის სხვა საქონელი. ეს ამხანაგებო, მიუტევებელია“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოთქმული ეს სიტყვები არ უნდა დავიწყებოდათ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მესვეურებს, რომლებმაც წელს შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შეამცირეს ისეთი ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება, როგორიც არის საცვლები, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი და კერძოდ ლაქ-საღებავები. ისიც აღინიშნა, რომ ყოველდღიური მოთხოვნილების ბევრი საქონელი შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ ადგილებზე, ამიტომ სამინისტროებისა და უწყებების, მგეგმავი და სავაჭრო ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებასთან ერთად საჭიროა, რომ ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე უფრო საფუძვლიანად და, რაც მთავარია, ინიციატივიანად, მუშაობდნენ ადგილობრივი მრეწველობა, სამომხმარებლო კოოპერაცია, საბჭოები და მათი მუდმივი კომისიები. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ადგილობრივი ნედლეული.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ინიციატივა აკლდეთ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელებს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ამ სამინისტროს რიგმა საწარმოებმა მიმდინარე წლის ხუთ თვეში, ისევე როგორც შარშან, ვერ უზრუნველყვეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოების გეგმის შესრულება.

ზოგიერთი საწარმოს მიერ დამზადებული ფართო მოხმარების საქონელი რაოდენობრივად თითქმის საკმარისია მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. დიახ, რაოდენობრივად და არა ხარისხით. სწორედ ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ „ისნის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივის ნახელავს ჩვენი მოსახლეობა მაინცდამაინც არ ეტანება. საწარმოში ვერ შეძლეს ხარისხისათვის ბრძოლის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანა. გაერთიანების მუშაობა ამ მიმართულებით სახელმწიფო სტანდარტის წარმომადგენლებმა შეამოწმეს და ძალიან არასახარბიელო ფაქტის მოწმენი გახდნენ. შემოწმებული ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის რვა მოდელიდან არც ერთი არ შეეხამებოდა სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნას. სამწუხაროდ, გაერთიანება „ისნისათვის“ ასეთი შემთხვევა პირველი როდია. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი ამ საწარმოს ყველაზე მტკივნეული ადგილია. მიზეზი კი ერთია: სისტემატურად ირღვევა ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი და სუსტად მუშაობს ტექნიკური კონტროლი.

ასევე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა შემოწმებისას რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიურო. 150 სახეობის ტოიოტაუის, ტაკანსაგალანტერეიო და საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმის ტექნიკური დოკუმენტაციის შემოწმებით 17 დაწესებული სტანდარტების დარღვევით იყო შესრულებული.

ალბათ, არაფერი არ კეთდება პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ცეკავშირის სისტემის აფხაზეთის რესპუბლიკურ საბითუმო-სავაჭრო ბაზა „აბკავშირში“. თუ ეს ასე არ არის, მაშ რით ავხსნათ ის გარემოება, რომ აქ შემოწმებული 27 სახეობის ტრიკოტაჟის, საფეიქრო-საგალანტერეო და სხვა ნაწარმიდან არც ერთი არ იყო სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე?

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხი ყოველთვის იყო და იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უპირველესი საზრუნავი. ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კი მასობრივი მოთხოვნის საქონლის სიუხვის შექმნაა. სწორედ ამით ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, როცა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საგნების დამზადება მძიმე მრეწველობის საწარმოებსაც დაავალეს. ასეთი გადაწყვეტილება გამართლებულია: თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ მანქანათსაშენებელ და ელექტროტექნიკურ ქარხნებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ ასობით სახეობის ფართო მოხმარების უმაღლესი ხარისხის საქონელი აწარმოონ. ამას მხოლოდ საწარმოთა ხელმძღვანელების მიერ მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის ამაღლება და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება სჭირდება.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების მხრივ ზემოჩამოთვლილ საწარმოებსა და ორგანიზაციებში შექმნილი ვითარება ყოვლად შეუწყნარებელია. ამ საკითხს მთელი გულისყურით უნდა მოეკიდონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები, სახალხო კონტროლიორები, მდგომარეობა წელსვე უთუოდ უნდა გამოსწორდეს.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1981 წლის 23 თებერვალს მუშაობას დაიწყებს სკკპ XXVI ყრილობა. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი პარტიის ამ დიდი ფორუმის მსჯელობის მთავარი საგანი კვლავ მშრომელთა შემდგომი კეთილდღეობის გაუმჯობესება იქნება. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს, ამაზე ნიადაგ უნდა ვიფიქროთ და ყველაფერი ვიღონოთ მუშაობის გარდასაქმნელად.

ალბათ დადგა დრო, რომ ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებასთან დაკავშირებული საკითხები საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად განიხილონ და შედეგები დაუყოვნებლივ აცნობონ პარტიის რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტებს. არცთუ ისე იშვიათად ასეთი ფაქტების მოწმენი ვხდებით: საწარმო წარმატებით ასრულებს ძირითადი პროდუქციის გამოშვების საერთო გეგმას, ამზადებს, ვთქვათ, მეტ ელმავალს, ჩარხს, ელექტროამამუშავებელს, ძრავას, ამწეს ან ფოლადს, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებს. ასეთ საწარმოთა კოლექტივებსა და მათს ხელმძღვანელებს აქებენ. აქებენ და ამავე დროს ავიწყდებათ ჰკითხონ მათ — როგორ არომშვენენ თავს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების დავალებას? საჭირო კია. საჭიროა თუგინდ ამიტომ, რომ ასეთი ხელმძღვანელები, პირდაპირ უნდა ვთქვათ, არ შეიძლება ნამდვილ მეურნეებად ჩაითვალონ, მანქანათსაშენებელი ქარხნის კარგმა დირექტორმა მაგალითად იცის, რომ ფართო მოხმარების საქონლის (დამატებითი პროდუქციის) გამოშვებით იზრდება საწარმოს მოგება. ეს კი ის მაჩვენებელია, რომელიც მომავალში წარმოების შრომითი კოლექტივის საქმიანობაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს დაიკავებს. ამაზე მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

ახლა გაერთიანებების, საწარმოების, საამქროების, ბრიგადების კოლექტივები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. შეჯიბრებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთრი ზრდა.



ნაყოფიერად მუშაობს მცხეთის სანერგე საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის ვაზის ნერგების გამოყვანისათვის.

— ჩვენი მეურნეობა სკკპ XXVI ყრილობას წინა წელს 1.600.000 ნერგს დაამზადებს, — ამბობს მეურნეობის დირექტორი თ. ალფენიძე, — ეს იქნება რქაწითელის, ჩინურის, ცოლიკაურის, გორული მწვანის და პინოს ჯიშების ნერგები.

სურათებზე: ვაზის მექანიზირებული შეწამვლა; მოწინავე მექანიზატორი ზ. ხოშაბაევი, რომელიც დღეში ნაცვლად 3 ჰექტარისა 5-6 ჰექტარ ვაზს წამლავს.

ს. კილაძის ფოტო.

ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXVI ყრილობას!

● სკკპ ივნისის პლენუმმა, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ, ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მთელს ჩვენს რესპუბლიკაში.

● საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც კადაზე ადრე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა, ახალი ვალდებულებები იკისრეს ჩვენი პარტიის XXVI ყრილობის ალსანიშნავად.

● ვიმუშაოთ დამკვრელურად, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყოველი დღე, ყოველი საათი!

რუსთავი

ცემენტის ქარხანაში მიიღეს „500“ მარკის ზემტკიცე ცემენტის პირველი სამრეწველო პartია. ახალ პროდუქციის ნარჩენებისაგან ამზადებენ. საწარმოს სპეციალისტებმა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად შეიმუშავეს მისი მიღების პრინციპულად ახალი ტექნოლოგია. ამგვარი ცემენტისაგან დამზადებული ნაწარმი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე უძლებს 500 კილოგრამზე მეტ წნევას.

ზუგდიდი

მშრომელთა დიდი პოლიტიკური და საქმიანი აქტიურობის ვითარებაში გაიმართა შეჯიბრება სკკპ მომავალი XXVII ყრილობის ალსანიშნავად. ზუგდიდელებმა, რომლებმაც ვადამდე —23 ივნისისათვის შეასრულეს წლის პირველი ნახევრის დავალებანი, პირობა დადეს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან სამი მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

გადაწყვეტილია 7 ოქტომბრისათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ ენგურჰესის უკანასკნელი მეხუთე აგრეგატი.

ცხაკაია

რაიონის მეავრეშუმეებმა ხუთწლიანი გეგმის შესრულებით უპასუხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას სკკპ მორიგი, XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ.

მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 224 ტონაზე მეტი აბრეშუმის პარკი, რაც 28 ტონით აღემატება დავალებას.

ცხაკაელებმა ვალდებულება იკისრეს მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დამლევამდე სახელმწიფოს ჩააბარონ კიდევ სამი ტონა ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. (საქინფორმი).

გულითადი მილოცვა

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საქართველოს ყველა ჰიდრომეტეოროლოგ სპეციალისტს, ტექნიკოსს, მუშასა და მოსამსახურეს, მეცნიერს დიდ დღესასწაულს — საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის დაარსების 50-ე წლისთავს.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგები დიდ და ძნელ მუშაობას ეწევიან ამინდის პროგნოზირებისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების, განსაკუთრებით სოფლისა და წყალთა მეურნეობის, ავიაციის, საზღვაო ფლოტის, ენერგეტიკისა და სხვა დარგების მეტეოროლოგიური უზრუნველყოფისათვის.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა ორგანიზაციებისათვის მიცემული პროგნოზების ხარისხი. ამის შედეგად შესაძლებელი ხდება ბევრ შემთხვევაში დროულად განვახორციელოთ ღონისძიებანი სუსხის, თოვლის, ღვარცოფებისა და ზოგიერთი სხვა სტიქიური მოვლენის სამში შედეგების თავიდან აცილებისათვის. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ ტერიტორიის კლიმატური და წყლის რესურსების შესწავლისა და სახალხო მეურნეობაში მათი დასაბუთებული გამოყენებისათვის.

საქართველოს სამმართველო ნაყოფიერად მუშაობს ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და ატმოსფეროში განაფრქვევის რეგულირებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო ბუნების გაჯანსაღებისთვის.

ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება ხელს უწყობს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის იმ ამოცანების ოპტიმალურ გადაწყვეტას, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე დგას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმმა, რომელზეც მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, მოუწოდა კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელს უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და ამით უზრუნველყონ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა, ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ გარემო ბუნების დაცვისათვის, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ატმოსფერული ჰაერის სასიკეთო მდგომარეობის შენარჩუნებას, მის აღდგენასა და გაუმჯობესებას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების — მათი შრომის, ყოფის, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობების უზრუნველყოფისათვის, მატერიალური წარმოებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. ამ ზრუნვის მკაფიო გამოვლენებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ ამ დღეებში მიღებული კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ. ამ უდიდესი საერთო-სახალხო და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტში ახალი ამოცანებია დაყენებული რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის წინაშეც.

ამ მოთხოვნების მიხედვით საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მეცნიერმა ჰიდრომეტეოროლოგებმა, მთელმა კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა უნდა გასწიონ ამინდის პროგნოზირების მეცნიერული საფუძვლებისა და მეთოდების შემდგომი განვითარება-სრულყოფისთვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინტერესებს საკეთილდღეოდ გარემო ბუნების მდგომარეობისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ყველა მუშაკს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს შრომაში, გამოდგეს მტკიცე რწმენას, რომ ისინი კვლავაც მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და ენერგიას მოახმარენ თავიანთი მუშაობის გაუმჯობესებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის წარმატებით მზადების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პალ ლოშონცის

ძვირფასო ამხანაგო ლოშონცი,

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და პირადად გულითადად გილოცავთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ხელახლა არჩევას. გისურვებთ დიდ წარმატებებს ამ მაღალ სახელმწიფო პოსტზე ნაყოფიერ მოღვაწეობაში.

ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება საბჭოთა და უნგრელი ხალხების საკეთილდღეოდ, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცების, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ლ. ბრეჟნევი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ დიერდ ლაზარს

ძვირფასო ამხანაგო ლაზარ,

გულითადად გილოცავთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ხელახლა არჩევას.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ საქმიანობაში უნგრელი ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ძმური მეგობრობისა და ფართო ნაყოფიერი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების ინტერესებისათვის.

ა. კოსიგინი.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა

28 ივნისს გაიმართა მორიგი მეცადინეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის აქტუალურ პრობლემათა სემინარ-ლექტორიუმისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოხსენება — სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოს ძირითად რეგიონებში და უპირველეს დროში მისი განვითარების სავარაუდო ტენდენციები — გააკეთა ამიერკავკასიის წყნეთელ-ოროშვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ, შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. კ. კირილოვმა.

სემინარ-ლექტორიუმის მეცადინეობას დაესწრნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. ჩხეიძე. (საქინფორმი).

ეს არის, ვინმეს მთელი გულისყური?!

როცა აგრონომი სცოდავს

ორჯონიკიძე. ვაზის ყვავილობისას საუკეთესო ამინდი იყო, თითქოს ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ ბუნებამ ბოლოშდე არ გაანებივრა მეზვრეები. ერთხანს, როცა საგრძნობლად აცივდა, მავნებელ დაავადებათა გავრცელების აშკარა საშიშროებაც შეიქმნა.

არც მეზვრეებს დაუყრიათ ფარხმალი, მოსავლის გადარჩენისათვის მათ მიერ გაჩაღებულ ბრძოლას ოპერატიულ ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ შექმნილი შტაბი პარტიის რაიკომის პირველი მდივნის შ. დევდარიანის მეთაურობით. საგანგებო ღონისძიებები განხორციელეს კიცხში, უბისაში, ბორიოში და რაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

მოსავლეობა არა აქვთ მეენარეთა დაცვის სარაიონთაშორისო სადგურის მუშაკებს. ისინი სოფლიდან სოფელში, ნაკვეთიდან ნაკვეთში გადადიან და მეზვრის მცირედი გულგრილობაც კი შეუჭირვეელი არ რჩებათ.

თუმცა რაღა მცირე გულგრილობაზე შეიძლება ლაპარაკი! ის, რაც ამ უწყების მუშაკებმა ვარძიის კოლეგიურობაში ნახეს, მეტი რომ არა ვთქვათ, აღმაშფოთებელია!

ვარძია რაიონის ერთ-ერთი წამყვანი მევენახეობის კოლმეურნეობაა. ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატთა შორის სოფელს ჰყავს სოციალისტური შრომის გმირი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი. სამწუხაროა, რომ ასეთი კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა არ იცოდეს ყურძნის წარმოების კონკრეტული დაკვალება. დიახ, გ. ხიჯაკაძემ ბევრი სხვა რამეც არ იცის. სწორედ მისი უპასუხისმგებლობის ბრალია, რომ ცალკეული მევენახეები, რომლებმაც ვენახი გაიპიროვნეს, ისე ამზადებენ ბორდოულ სითხეს, რომ დოზების დაცვის არაფერი გაეგებათ.

კონკრეტული ფაქტი? — ინებეთ. მესამე ბრიგადის მევენახე ზ. ჩიჩილიძე ისე ამზადებდა ხსნარს თავისი ნაკვეთისათვის, რომ არ იცოდა სამაბიამნე ავზის ტევადობა. მისი განცხადებით, ყოველ სამ ფუთ წყალზე საჭიროა კილოგრამი შაბიამანი, ხოლო კირს და კოლოიდურ გოგირდს თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს აუწონავად.

უფრო მეტიც, საერთოდ კოლმეურნეობაში ბორდოული სითხის დასამზადებლად ხმარობენ გადამწვარ საშენ კირს, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი თვისებები. ცხადია სწორედ ამის გამო გაჩნდა ვაზის ფოთლისა და მტევნის ჭრაქის კერები (ალეაეულ ნაკვეთებში).

უხეირო აგრონომიული სამსახურის ბრალია ის, რომ ზოგიერთ მევენახეს — ი. ხიჯაკაძეს (№ 4 ბრიგადა) ს. და შ. ხიჯაკაძეებს (№ 5 ბრიგადა) ზვერებში დღემდე დაუქმავი აქვთ მავთული, არ უწარმოებიათ ვაზის ძირების პირველი გამოთოხნა.

სოფლის თავკაცები — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჭ. ბაკაძეები და ვარძიელ კომუნისტთა წინამძღოლი ვ. მაჩიტიძე ცუდი მუშაკები არ არიან და მით უფრო არ ეპატიებათ მათ ყურადღების მოდუნება აგრონომიული სამსახურის მიმართ, რამაც შესაძლოა მათ სირცხვილი აჭამოს ხუთწლედის დამამთავრებელი წლის რთვლის დროს.

ო. ნიჭაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჰიდრომეტეოროლოგთა დღესასწაული

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის დაარსების 50-ე წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 27 ივნისს გაიმართა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვარძელაშვილმა.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგებს დღესასწაული მიულოცა სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ი. იზრაელმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს

ლენინურად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას

კომუნისტებმა, ყველა საბჭოთა ადამიანმა კმაყოფილებით, ერთსულოვანი მოწონებითა და აღფრთოვანებით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილება 1981 წლის 23 თებერვალს პარტიის XXVI ყრილობის მოწვევის შესახებ, დადგენილება „საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“.

პარტიულ ორგანიზაციებში, მშრომელთა კოლექტივებში უდიდესი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტებს.

პარტიული კომიტეტები, იდეოლოგიური აქტივი ფართოდ აჩაღებენ მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობას, საბრძოლო სოციალისტურ შეჯიბრებას ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ერთიანი პოლიტდღეების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის ორგანიზატორების, შომხსენებლების, ლექტორების, პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების დასახმარებლად ვაქვეყნებთ გამოსვლების სანიმუშო თემატიკას.

ყრილობიდან ყრილობამდე — ლენინური კურსით.

ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების ძირითადი ამოცანების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა.

პარტია განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

ჩვენი ეპოქა/მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების ეპოქაა.

ლენინიზმი რევოლუციური ბრძოლის, კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის დროშაა.

ლ. ი. ბრეჟნევის შრომები დიდი წვლილია მეცნიერული კომუნიზმის თეორიასა და პრაქტიკაში.

პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა.

განვითარებული სოციალიზმი კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმის გზაზე.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთლიანად გამოვიყენოთ განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობანი.

ხალხის კეთილდღეობა პარტიის უზენაესი მიზანია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგია თანამედროვე ეტაპზე.

პარტიის საქმიანობა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის.

საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის წარმატებანი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზები.

წითელდროშოვანი კოლექტივების გამოცდილება ჩვენი სიმდიდრეა.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარება — ყურადღების მაქსიმუმი.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა.

ყველა ასამუშავებელი ობიექტი—მწყობრში!

ვადამდე ავაშენოთ — ვადამდე ავითვისოთ!

ტრანსპორტის მუშაობას — ზუსტი რიტმი.

გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება, სანიმუშოდ დავამთავროთ მოსავლის აღება.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია.

დისციპლინის განმტკიცება ეფექტიანი მეურნეობრიობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

მომჭირნეობა და ყაირათიანობა ჩვენი მძლავრი რეზერვებია.

სსრ კავშირის პოლიტიკური სისტემის განვითარება.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმობა.

სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებით.

კომუნისტური იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია—თითოეულ საბჭოთა ადამიანს.

იდეოლოგიურ მუშაობას — კონკრეტულობა, შეტევითობა, ქმედითობა.

კომუნისტი პოლიტიკური მებრძოლი, პარტიის იდეებისა და პოლიტიკის გამტარებელია.

კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიული ცხოვრების კანონია.

პროფკავშირები საბჭოთა საზოგადოების გავლენიანი ძალაა.

ლენინური კომკავშირი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და მებრძოლი რეზერვია.

საბჭოთა ქალები კომუნიზმის აქტიური მშენებლები არიან.

ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საპროგრამო მიზანია.

საბჭოთა ადამიანების სულიერი კულტურის ზრდა.

მშვიდობა კაცობრიობის სწორუპოვარი საუნჯეა.

სსრ კავშირი მშვიდობის მედროშეა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

სოციალიზმის ქვეყნების ისტორიული წარმატებანი.

სოციალისტური თანამეგობრობა მშვიდობის მძლავრი ბასტიონია.

ვარშავის ხელშეკრულება და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო საიმედოდ ემსახურებიან მშვიდობისა და პროგრესის საქმეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მსოფლიო რევოლუციური პროცესი.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი კომუნისტთა საბრძოლო დროშაა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე.

განიარაღება დროის მოთხოვნაა.

დაძაბულობის შენელება მსოფლიო ასპარეზზე შექმნილი ძალების თანაფარდობის კანონზომიერი შედეგია.

ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტული კურსი დაძაბულობისა და მშვიდობისადმი საფრთხის მთავარი წყაროა.

ნატოს მილიტარისტული აქტიურობა.

პეკინის ხელმძღვანელთა ძირგამომთხრელი მოქმედება მშვიდობისა და პროგრესის ძალების წინააღმდეგ.

ორი სოციალური სისტემის იდეური ბრძოლა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები სოციალიზმისა და მშვიდობის სადარაჯოზე.

ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი თითოეულ სამუშაო ადგილას.

ვიმუშაოთ ლენინურად, კომუნისტურად.

შრომის დიდი ნაყოფიერება—ცხოვრების მაღალი დონე.

მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ 1980 წლის გეგმის წარმატებით შესრულებას.

საყრილობო შეჯიბრებას—საყოველთაო-სახალხო გაქანება!

სკკპ XXVI ყრილობას—თავდადებული შრომა, ენთუზიაზმი, შემოქმედება.

ჩვენი შრომითი საჩუქრები პარტიის XXVI ყრილობას.

1980 წლის დავალებანი—7 ნოემბრისათვის!

მეათე ხუთწლედს—დამკვრელური ფინიში!

ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXVI ყრილობას!

დღესასწაულოზენ საქართველოს ნოვატორები

შარშან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას 70 მილიონ მანეთზე მეტი დაეზოგა საქართველოს მეცნიერთა, ინჟინერთა და ნოვატორთა 328 გამოგონებისა და დაახლოებით 25 ათასი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის შედეგად, მთლიანად კი მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში რესპუბლიკის გამოგონებლებმა და რაციონალიზატორებმა სახალხო ყულაბაში შეიტანეს 250 მილიონ მანეთზე მეტი, რაც არასაწარმოო დანახარჯის დაზოგვის შედეგად არის მიღებული. ეს თავის მოხსენებაში აღნიშნა საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ყიფიანმა მეცნიერთა და წარმოების ნოვატორთა სახეიმო კრებაზე, რომელიც 27 ივნისს გაიმართა თბილისში და გამომგონებლისა და რაციონალიზატორის სრულიად საკავშირო დღეს მიეძღვნა.

ნოვატორ მანქანათმშენებელთა მიღწევების, წარმოების რაციონალიზაციის დარგში თავისი ამხანაგების წარმატებების შესახებ ილაპარაკა თბილისის საწარმოო ჩარხსაშენებელი გაერთიანების ხარატმა ზ. გველუკაშვილმა.

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, გამომგონებელი ბ. ჯუმბურიძე და საბჭოთა კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საბჭოს თავმჯდომარე ა. ჯაბადარი. შეკრებილთ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ ტექნიკოსთა სახელით მიესალმა 150-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული თამარ გოიშვილი. (საქინფორმი).

29 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა

ბედნიერ იყოს!..

სურათზე: თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი.

ს. კილაძის ფოტო.

სკოლის წლები! — განა შეიძლება გულგრილი ვიყოთ მისდამი, განსაკუთრებული სითბოთი და სიფაქიზით არ წარმოვთქვათ ეს სიტყვები. განა შეიძლება თავი არ გაახსენოთ სიკეთის ყველაზე დიდი მბოძებელმა — მასწავლებელმა, თქვენმა საკლასო ოთახმა, პატარა მერხმა, არ დაუბრუნდეთ თქვენს სიყმაწვილეს?!

ადამიანები ფრინველებს ვგავართ, დავფრთიანდებით თუ არა, სულ მაღლა-მაღლა მივისწრაფვით, ვოცნებობთ და ვქმნით, და რის შექმნასაც ვერ ვასწრებთ, მას მომავალ თაობებს ვუტოვებთ ანდერძად, და ისიც არ აყოვნებს, აბა ყური მიუგდეთ, არ გესმით მისი სუნთქვა და ნაბიჯების ხმა. იგი ყველგან და ყოველთვის მოგვყვება უკან და მზად არის მხარი შეგვაშველოს, ფეხი აგვიწყოს, ჯერ ჩვენთან ერთად, მერე უჩვენოდ, მომავალ თაობასთან ერთად ატაროს ცხოვრების საპატიო ტვირთი.

და აი, ახლაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა უკანასკნელი გამოსაშვები გამოცდები ჩაბარეს თუ არა, თითქოს ნათლად ვიგრძენით ახალი ტალღის ხმაური და აზვირთება, მათ უკვე ფრთები გაუშლიათ და დამოუკიდებელნი გამხდარან. ბევრი მათგანი ხვალვე დადგება დაზგასთან, მიუჯდება ტრაქტორის საჭეს, ბევრი კიდევ სწავლას განაგრძობს, რომ აღიზარდოს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ან, ვინ იცის, მეცნიერადაც კი მოგვევლინოს.

— გუშინ ჩვენი დეკანაბლაქის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს დიდი ზეიმი ჰქონდათ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მეწინავეებმა — ოქროს მედალოსნებმა ზეიმის წინ თაიგულებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მათ ფიცი დადეს, რომ მუდამ მზად იქნებიან პარტიის, სამშობლოს საქმისათვის.

ზეიმის მონაწილეებს დიდი ცხოვრების გზაზე გასვლა მიულოცეს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ, აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა, ჭადრაკის დიდოსტატმა ნ. ალექსანდრიამ, მწერალმა გ. ფანჯიკიძემ, ქართული ხელოვნების ოსტატებმა.

დღეს საბჭოთა ახალგაზრდობის ზეიმიც არის. ჩვენი რესპუბლიკის ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს ვულოცავთ ამ დღესასწაულს და ვუსურვებთ კვლავაც წარმატებებით ევლოთ წინ სამშობლოს სადიდებლად.

რ. მუხიგულაშვილი.

ყველაზე უცყუარი საზომი

კიდევ რამდენიმე თვე და ისტორიის კუთვნილება გახდება 1980 წელიც. ეს წელი კი, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, არა მარტო მიმდინარე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი, არამედ ბაზაც არის, რომელსაც მეთერთმეტე ხუთწლედი დაეფუძნება.

სწორედ ამიტომ ახლა ყოველი შრომელის, თითოეული კოლექტივის მიერ ხუთწლედის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა მხოლოდ იმ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, როგორი წარმატებით ასრულებს იგი მიმდინარე წლის და, საერთოდ, მეათე ხუთწლედის დავალებებს, როგორი შრომითი ნობათებით ეგებება სკკპ მომავალ, XXVI ყრილობას.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს რაიონში? მცხეთელმიმდინარეობის, ამ მხრივ არსებული სიძნელეების შესახებ. ყველა ამ ინფორმაციას ოპერატიულად ამუშავებენ და აანალიზებენ პარტიის რაიკომის შესაბამისი განყოფილებები და, საჭიროებისას, მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს.

დიახ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი გამუდმებულ ყურადღებას მოითხოვს, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მათ შორის წამყვანი მაინც სოფლის მეურნეობაა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ხუთწლედის განვლილ პერიოდში მართლაც სანაქებოდ გაისარჯნენ. მხვნელ-მთესველებმა ხუთწლედის დავალება ოთხ წელიწადში შეასრულეს. 7620 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 9734 ტონა მარცვალი. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წილკნის ექსპერიმენტული მეურნეობის კოლექტივმა, რომელმაც შარშან ჰექტარზე საშუალოდ საგგმო 22 ცენტნერის ნაცვლად 35 ცენტნერი ხორბალი და ქერი მიიღო, ხოლო ამავე მეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ა. ლაშაური ხელმძღვანელობს, ჰექტარზე საშუალოდ 41 ცენტნერი ხორბალი მოიწია.

ოთხ წელიწადში შესრულდა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმაც — 6.085 ათასის ნაცვლად ჩვენაბარეთ 9.981 ათასი ცალი კვერცხი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეთ აგრეთვე სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, ხორცის, რძის, მატყლის, აბრეშუმის პარკის ჩაბარების ოთხ წლის გეგმებიც.

მაგრამ ამ ბოლო წლებში რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი ყველაზე უკეთ გამოჩნდება, თუ ახლანდელ მაჩვენებლებს 1975 წლის — მეცხრე ხუთწლედის ბოლო წლის დონეს შევადარებთ. თუ 1975 წელს მცხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 10,6 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, შარშან ეს მაჩვენებელი 15 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. თუ მაშინ სოფლის მეურნეობამ 576 ათასი მანეთი მოგება მოგვცა, ახლა მან 1.139,9 ათასი მანეთი შეადგინა. 1975 წელთან შედარებით შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ 3 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული, 2.240 ტონით მეტი ხილი და 5.000 ტონით მეტი ყურძენი. ამ პერიოდში მარცვლეულის წარმოება გაიზარდა 25 პროცენტით, ბოსტნეულისა — 20 პროცენტით, ყურძნისა— 52 პროცენტით. თუ 1975 წელს ერთ საფურაჟე ძროხაზე მივიღეთ 1729 კილოგრამი რძე, შარშან მიღებულია 2 ათასი კილოგრამი. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდა ყველა სახეობის წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაც...

„ეს თვალსაჩინო წარმატებები, ბევრ სხვა რამესთან ერთად, უთუოდ სერიოზული პარტიულ-ორგანიზაციული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაყოფიც არის. პარტიის რაიკომი, მისი ბიურო სერიოზულ ყურადღებას უთმობენ წარმოებაში მოსულ სწორი ორგანიზაციის, დისციპლინის განმტკიცების, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებს. დაინერგა წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობის კომპლექსური შემოწმებისა და მათი შედეგების ბიუროს სხდომაზე განხილვის პრაქტიკა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო. კომპლექსურად შემოწმდა საგურამოს მებოსტნეობის და დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების, წილკნისა და ქსოვრისის სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობა. ბიუროს დასახა მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტული გზები და საშუალებები. განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებანი. მაგალითად, ბიუროს სხდომის შემდეგ საგურამოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდა დისციპლინა, დაინერგა მორალური და მატერიალური წახალისების პროგრესული ფორმები, ახლა მეურნეობას უკეთ ეხმარება „სახსოფლტექნიკის“ მცხეთის გაერთიანება, კარგად მუშაობენ შეფები... ყოველივე ამის შედეგად მეურნეობამ, რომელიც წლების მანძილზე ჩამორჩენილი იყო, შარშან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, ხოლო მეაბრეშუმეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის რაიონული გარდამავალი წითელი დროშაც მოიპოვა...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ეს ბოლოდროინდელი მიღწევები იმ ყურადღების შედეგიც არის, ჩვენთან კადრების შერჩევას, განწილებასა და აღზრდას რომ ეთმობა. ახლა რაიონის 12 საბჭოთა და სახელმწიფო მეურნეობის დირექტორიდან ხუთს შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი აქვს. აღებული გვაქვს ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურების კურსი. ამ უკანასკნელ წლებში მეურნეობათა დირექტორებად დავაწინაურეთ ახალგაზრდა უნარიანი სპეციალისტები გ. მოხევიშვილი, ა. მეზვრიშვილი, თ. იაგორაშვილი.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ საშუალო რგოლის სპეციალისტების მომზადებასაც.

სოფლის მეურნეობის მშრომელებს არც მრეწველობის მუშაკები ჩამორჩენენ — მათაც გადაჭარბებით შეასრულეს მთლიანი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის 4 წლის დავალებები. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 26 პროცენტით. და რაც ყველაზე სასიხარულოა, მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლები კი არ გაიზარდა, არამედ ხარისხობრივიც. თავად განსაჯეთ: თუ 1976 წელს რაიონის სამრეწველო საწარმოთა მშრომელების არც ერთ ნაწარმს არ ჰქონდა სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, ახლა უკვე ჩვენთან საპატიო ხუთკუთხედით დამშვენებული 14 სახეობის პროდუქცია მზადდება. აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონის მრეწველობა ამჟამად საერთოდ აღარ უშვებს მეორე კატეგორიის პროდუქციას.

ამ მხრივ ნაყოფიერად იღვწის პარტიის რაიკომთან არსებული წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების რაიონული კომისია, რომელიც სპეციალური გეგმით მუშაობს. ხარისხის კომისიები შექმნილია აგრეთვე უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში.

ნათქვამია, წინა კაცი უკანა კაცს ხიდიაო. ეს მართლაც რომ ასეა, და პარტიის რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაციები მუდამ ცდილობენ, რომ ჩვენი ქვეყნის თუ რესპუბლიკის მოწინავე შრომითი კოლექტივების ბევრი სასარგებლო ინიციატივა და თაოსნობა დაინერგოს, გავრცელდეს რაიონის საწარმოებში. ეს კარგ შედეგს გვაძლევს. მაგალითად „მრეწვკავშირისა“ და „საქენერგორემონტის“ — ქარხნებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ბათუმელ მანქანათმშენებელთა ინიციატივას ყოველი კვადრატული მეტრი საწარმო ფონდების ეფექტიანი გამოყენების თაობაზე, კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. „მრეწვკავშირმა“ ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე შარშან საგეგმო 845 მანეთის ნაცვლად 858 მანეთის პროდუქცია აწარმოა, ხოლო „საქენერგორემონტმა“ — 437-ის ნაცვლად 451 მანეთისა. ძალიან დაგვეხმარა აგრეთვე თბილისის პირველი მაისის რაიონული და ქუთაისის საქალაქო პარტიული კომიტეტების პატრიოტული ინიციატივის გაზიარებაც — მთლიანად შარშანდელი და მიმდინარე წლის 5 თვის მაჩვენებლებით რაიონში არა გვყავს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

პარტიის რაიკომმა საგრძნობლად გააუმჯობესა სამშენებლო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის ვადების დაცვისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ითვალისწინებს რა იმას, რომ შრომითი კოლექტივების გამართული მუშაობაში განსაკუთრებული როლი განეკუთვნებათ კომუნისტებს, პირველადს პარტორგანიზაციებს, პარტიის რაიკომის ბიურო რეგულარულად ისმენს მსხვილ წარმოება-დაწესებულებათა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. ამასთანავე ბიუროს სხდომა სისტემატურად განიხილავს კვარტალების მიხედვით გეგმა-ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და სახავს შესაბამის ღონისძიებებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა დროზე აღმოფხვრისათვის...

ამ წერილში ძალიან მოკლედ ვისაუბრეთ იმ ზოგიერთ ფორმასა და მეთოდზე, პარტიის რაიკომი ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობისათვის რომ იყენებს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი რაიონისათვის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ორი დოკუმენტი, რომლებიც რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ მიიჩნია და რომლებმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობეს მცხეთელთა ბოლოდროინდელი შრომითი წარმატებები. უწინარეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 24 აპრილის დადგენილება ქალაქ-მუზეუმ მცხეთისა და მცხეთის რაიონის ეკონომიკის განვითარების შესახებ, რომელმაც ძალიან შეგვიწყო ხელი მეათე ხუთწლედის გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში. რაიონის ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის და, საერთოდ, მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწა-სრულყოფაში ერთობ დაგვეხმარა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სახელმძღვანელო მითითებები, რომელმაც 1977 წელს იმსჯელა ჩვენი რაიკომის კომპლექსური შემოწმების შედეგების შესახებ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამან განსაზღვრა მცხეთელთა მოწინავე პოზიციებზე გასვლა...

ამჟამად რაიონში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, რისთვისაც ყველა პირობა გვაქვს. ამის გარანტიას ისიც იძლევა, რომ მიმდინარე წლის 5 თვეში რაიონის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს გეგმები.

ამჟამად რაიონის პარტიული ორგანიზაციის მთელი ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ წლის ბოლომდე დარჩენილი დრო, გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ არსებული რეზერვები და ახალი შრომითი საჩუქრებით შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას, ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავს.

ა. ბარისაშვილი,
საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი.

პარტიული ცხოვრება: რაიკომი და ეკონომიკა

საწარმოო სიმძლავრეებს მაძსიმალური დატვირთვა

თუ თანამედროვე ტექნიკის განვითარების პირობებში მანქანათმშენებლობა ინდუსტრიის გულია, ჩარხმშენებლობა შეიძლება ამ გულის მთავარ ძარღვად ჩავთვალოთ, რადგან მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესი სათავეს მისგან იღებს.

ჩარხმშენებლობა საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად განვითარდა და მანქანათმშენებლობის თანამედროვე ქვედარგების — საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოტექნიკის, მძიმე მანქანათმშენებლობის და სხვათა წინამორბედი და მათი ფართო აღმავლობის დასაყრდენი გახდა.

თვით ჩარხმშენებლობის ზრდა-განვითარების გზა დღევანდელი მისი რთული პრობლემების გადაწყვეტის და მომავალში ახალი აღმავლობის გარანტიაა. გავიხსენოთ, რომ 1960-1979 წლებში რესპუბლიკაში დარგის პროდუქცია 5-ჯერ გადიდდა, ასევე გაიზარდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — ძირითადი საწარმოო ფონდები, კადრები. განსაკუთრებით საგულისხმოა ის თვისებრივი ძვრები, რომლებიც მოხდა მისი პროდუქციის ტექნიკურ დონეში. თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ეზოში მოწყობილი სტენდი შეგვახსენებს, თუ როგორ იცვლებოდა აქ გამოშვებული არათუ 30-იანი და 40-იანი წლების, არამედ თვით 60-იანი წლების ჩარხებიც და მათი მექანიზმებიც.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ქარხნის კოლექტივმა 1976 წელს, როცა მან ოთხჯერ ზედიზედ კვარტალის შედეგებით სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა გადაიცა და შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდდა.

70-იანი წლების ბოლოს თბილისელი ჩარხთმშენებლები ვერ აღმოჩნდნენ აღორძინებულ სიმაღლეზე, მოწინავე საწარმოს სახელს ჩრდილი მიადგა, მრავალათასეული კოლექტივის ბრძოლისუნარიანობის შესახებ დავა გახშირდა. ფეხი ვერ აუწყვეს დროს, მის მკაცრ მოთხოვნებს.

რამდენიმე მიზეზით იყო განსაზღვრული 1977 წლიდან მოყოლებული საწარმოს წარმატებათა კლება და 1978 და 1979 წლების სამეურნეო შედეგების მიხედვით აშკარა ჩამორჩენა. ორი წლის მანძილზე საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელმა“ 9,7 მილიონ მანეთზე მეტი დააკლო სახელმწიფო გეგმის შესრულებას, თითქმის ამდენივე დაეკლდება წინასწარ ვარაუდით მეათე ხუთწლიანი გეგმის რეალიზაციას. ეს მრავალი წელია, ბევრ ადგილზე ეფექტიანობა, ეკონომიკური ეფექტიანობა, ეს ... ეფექტიანობა, ... ეფექტიანობა, ... ეფექტიანობა,

მშვენიერი ხარ, გამარჯვებავ!

საქართველო პოზნანის საერთაშორისო ბაზრობაზე

მრავლდამეთ ო რ მ ე ტ ე დ აღიმართა პოზნანის თავზე ნაირფერი ბაირაღები. ორმოცდამეთორმეტედ ახმაურდა მისი მყუდრო ქუჩები და მოედნები: პოლონეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი 41 ქვეყნის, და მათ შორის მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების, 5 ათასზე მეტი ფირმისა და გაერთიანების დელეგაციას, ათასობით სპეციალისტსა და ათიათასობით უცხო ე ლ ტურისტს მასპინძლობს.

რას არ ნახავ პოზნანის საერთაშორისო ბაზრობის მთავარ ტერიტორიაზე, 17 ჰექტარზე რომ გადაჭიმულა! ადამიანის გონებითა და გარჯით შექმნილ რამდენ სიკეთეს იტევს გამოფენის პავილიონები, ღია ცის ქვეშ მოწყობილი ექსპოზიციები: სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — ნარამოვიცაში, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილებისა — მატეიკოს ქუჩის მახლობლად...

პოზნანის ბაზრობა მრეწველობისა და ვაჭრობის უდიდესი დათვალიერებაა. აქ ფორმდება დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო კონტრაქტები და კოოპერირების ხელშეკრულებები, აქ წარმოჩინდება მრეწველობის უმთავრესი დარგების უახლესი მიღწევები, აქვე ტარდება სამეცნიერო სიმპოზიუმები, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მწარმოებლებს საშუალება ეძლევათ გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს პროდუქციის ხარისხის, მისი წარმოების ორგანიზაციის თაობაზე, გაუზიარონ მოწინავე ტექნიკური აზრი და უახლესი ტექნოლოგია.

პოზნანის ბაზრობას დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. და სრულიად ბუნებრივია, რომ მის მონაწილე ქვეყნებს სურთ რაც შეიძლება სრულყოფილად ასახონ თავიანთი მიღწევები.

საბჭოთა პავილიონი ერთ-ერთი უდიდესია გამოფენის ტერიტორიაზე. მისი მრავალფეროვანი ექსპოზიცია დამაჯერებლად ასახავს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანობას, განსაკუთრებით კი ჩვენი ქვეყნისა და სახალხო პოლონეთის ეკონომიკური ურთიერთკავშირის სიკეთეს.

ოცდამეცამეტე წელია საბჭოთა კავშირი პოზნანის ბაზრობაში მონაწილეობს და, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მის პავილიონში ყოველ წელს თითო მოძმე რესპუბლიკა წარმოადგენს თავის მიღწევებს — ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების უცილობელ საბუთს.

წელს პირველად საბჭოთა პავილიონში ცალკე განყოფილებად არის წარმოდგენილი საბჭოთა საქართველო. ვეებერთელა შენობის მეორე სართული მთლიანად დათმობილი აქვს ექსპოზიციას, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის წინსვლასა და წარმატებებს ასახავს.

—რა მშვენიერი ექსპოზიციაა! — მეუბნება პოლონელი ექსკურსიამძღოლი. — მე თქვენს ქვეყანაში ვყოფილვარ და რა-რიგ მიხარია, რომ ახლა კვლავ შევხვდი მისი ლანდშაფტების წარმტაც ფერადოვნებას...

მე დარბაზის კედლებზე იდუმალი შუქით გაბათებულ შესანიშნავ ფოტოსლაიდებს და ვეებერთელა ოქროცურვილ ჭედურ პანოებს შევცქერი. ძველი და ახალი თბილისი, ჯვარი, ზღვისპირეთი... და ვგრძნობ, როგორ მიქანდება მყრდში გული — ნაცნობი და მუდამ ახალი გრძნობა სხვა ქვეყნის მიწაზე სამშობლოსთან შეხვედრისა. მერე რა, თუ საკუთარი ქვეყნის მიწას ხუთიოდე დღე გაშორებს! მაინც ფარული მძღვარებით შესაქცერი სგადმოფენო სტენდებს. მერე რა, თუ ეს ექსპონატები ასე კარგად ნაცნობია შენთვის, მაინც ღელავ, რადგან შენთან ერთად მათ ახლა ასობით დაინტერესებული თვალი უცქერის და აფასებს.

— სამასი ათასზე მეტმა დამთვალიერებელმა ინახულა ჩვენი ექსპოზიცია, — მეუბნება საქართველოს განყოფილების დირექტორი აბესალომ ხუნწარია. — გაინტერესებთ შთაბეჭდილებების წიგნი?

„საუკეთესო სურვილები საბჭოთა საქართველოს ხალხს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან“, — ედვარდ გერეკი, ედვარდ ბაბიუხი. პოზნანის ბაზრობა, 1980.“

ეს ჩანაწერი საპატიო სტუმრების წიგნში 9 ივნისს გაჩნდა — ამ დღეს ბაზრობაზე საბჭოთა კავშირის დღე აღინიშნა. ბაზრობის გახსნის ზეიმზე დასასწრებად პოზნანში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. სპირიდონოვის ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი.

ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციას კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე ხელმძღვანელობდა. მის შემადგენლობაში იყვნენ რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გვერდწითელი და საკავშირო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ოქროშიძე.

იმ დღეს განსაკუთრებით სზეიმოდ გამოიყურებოდა საქართველოს გაყოფილება. უკრავდა ანსამბლი „ჩანგი“, ყველა პალატის მუშაკებს, მხატვრებს: გ. მებუკეს, გ. აბულაძეს, ნ. ერგაშვილიეს.

„დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ექსპოზიციამ, ძალზე ელეგანტური გამოფენაა!“ — წერენ ვარშაველი ინჟინრები.

„მშვენიერია ქართული მიწა!“ (ლ. კუხაჟი, ჩ. გავკოვიჩი. კატოვიცელი მოქალაქენი).

„საქართველოს ექსპოზიცია რომანტიკით სუნთქავს“, — ნ. ლევანდოვსკა.

„ძალიან მომეწონა ავეჯი“, — ბ. ფრისკა.

„მშვენიერია ქართული ბროლი!“.

დიახ, მართლაც რომ მშვენიერია ქუთაისური ბროლის ყელმოხატული ლარნაკები; დიახაც რომ უნაკლოა ქუთაისელ მეავეჯეთა ნახელავი — კომპლექტი ოთხოთახიანი ბინისათვის; თვალს ვერ აცილებ თბილისური აბრეშუმის უნაზეს ფერთა გარდამავალ გამას.

საქართველოს ექსპოზიციაში ათას ხუთასზე მეტი ექსპონატია და დამაჯერებლად უჩვენებს ჩვენი რესპუბლიკის სულ უფრო და უფრო მზარდ საექსპორტო შესაძლებლობას.

აი ელმავალთა მოდელები. მათი გამოშვებით ჩვენ ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას ვუსწრებთ; სპაპირო ბაგორგზების მაკეტი; საქვეყნოდ სახელგანთქმული ფოთური „კომეტა“...

სპეციალისტთა აღიარება დაიმსახურა აგ გამოფენლმა, ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილმა უნიკალურმა ხელსაწყოებმა: ელექტრონულმა ტახომეტრებმა, რეზისტორებმა, ჰიდრომეტეოროლოგიურმა ხელსაწყოებმა. ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს სხვა საინტერესო ექსპონატებსაც: ელ ე ქ ტ რ ო ძრავებს, საშემდეგლო მოწყობილობას და სხვა მრავალს.

ნუსხა ჩვენი რესპუბლიკის განყოფილების ექსპონატებისა. რას იზამ, ყველას საგაზეთო წერილში როგორ ჩამოთვლი! არადა, როგორ არ უნდა მოიხსენიო ჩინებული ხალიჩები, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ქართული წიგნები, ქართული ფოლკლორული მუსიკის ფირფიტები, კერამიკული, ხის და მინის ნაკეთობანი...

ამ დღეებში პოზნანის ცხოვრების კამერტონი საერთაშორისო ბაზრობა გახლდათ. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ნახევარმილიონიანი ქალაქი მხოლოდ ბაზრობის ინტერესით ცოცხლობდეს! იქნებ სწორედ ამ გრანდიოზული ღონისძიების საქმეშიც (ვინ ამოხსნის ნახევარსაუკუნოვანი ტრადიციის საიდუმლოებას?) ქალაქი სწორედ ამ დღეებში მართავს საკუთარ ზეიმს.

საერთაშორისო ბაზრობა 8 ივნისს იწყება? — ქალაქი პოზნანი საკუთარ ბაზრობას 7 ივნისს იწყებს.

რატუშის საათმა ნაშუადღევის 2 საათი რომ ჩამორეკა, ძველი ბაზრის მოედანზე სვენტოიანის ბაზრობის საზეიმო გახსნის ცერემონიალი დაიწყო. ქალაქის თავმა ვლადისლავ სლებოდამ ქალაქის გასაღები ვაჭრობისა და ხელოსნობის წარმომადგენელთა დელეგაციას გადაულოცა. ამ წუთიდან ძველი ბაზრის მოედანსა და ახლომახლო მდებარე პატარა ქუჩებს დიდი სანალობო დღესასწაული დაეპატრონა.

ყვავილებითა და სტილიზებული ბაირაღებით მორთულ მოედანზე, საზეიმო ფერხულში ჩაბმულები, ცეკვა-ცეკვით მოდიოდნენ ოსტატები და შეგირდები, რომელთაც ძველი ამქრის დროშები და თავიანთი ხელობის ატრიბუტები მოჰქონდათ. მოდიოდნენ დალაქები, დურგლები, ყასაბები, ბუხრის მწმენდიკები, თერძები და რაგინდარა ხელობის ხალხი. მეჭედლები იქვე, მოძრავ პლატფორმებზე უჭედავდნენ მსურველთ ბედნიერების მოძტან რკინის ნალებს.

ძველი ბაზრის მოედნის კუთხეებში ერთდროულად უკრავდა რამდენიმე სასულე ორკესტრი, მღეროდნენ ბავშვთა გუნდები, გამოდიოდნენ თვითმოქმედი ანსამბლები, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მომღერლები, ასპარეზობდნენ სპორტსმენები.

კედლების გასწვრივ თავიანთი ნამუშევრები ჩაერიგებინათ აქაურ მხატვრებს. სახელდახელოდ აგებულ ფარდულებში საკუთარ ნახელავს ჰყიდდნენ ადგილობრივი საწარმოები.

ბაზრის მოედნის შუაგულში აგებულ ესტრადაზე ცეკვა, სიმღერა და მოოდების დემონსტრაცია ენაცვლებოდა ერთმანეთს. და თუ დიდი ბაზრობის ფიცარნაგებზე ტაატი მიმდიოდნენ „მოდა პოლსკას“ დახვეწილი, მსოფლიომოვლილი მემანეკენე ქალები და გაოგნებული მაყურებლის თვალწინ ექსტრავაგანტურ მოდელებს დაფრიალებდნენ, ძველი ბაზრის მოედანზე 16-17 წლის ტანკენარი პოლონელი გოგონები და ჭაბუკები თანამედროვე დისკოტეკის რიტმებზე ცეკვა-ცეკვით აჩვენებდნენ ახალგაზრდობის შრომისა და გართობისათვის შექმნილ მოზერხებულ ტანსაცმელს.

ხომ გრანდიოზულია საერთაშორისო ბაზრობის პავილიონები? არანაკლებ თვალწარმტაცია ძველი ბაზრის ქუჩაბანდებში გამართული ღილაკები, რომლებზეც დახვავებულია ძველებური ლამფები, გრავიურები, უნატიფესი სირჩები და ლარნაკები, ამათ გვერდით კი სახელურმომტვრეული ძველი ნახშირის უთოები, ჟანგიანი ლურსმნები...

არ გეგონოთ, თითქოს ეს საქონელი სამბოლური ვაჭრობისათვის იყოს მოტანილი. არხეინად ბრძანებიდეთ: ყველაფერ ამას თავისი მუშტარი ჰყავს — უცხოელი ტურისტი, ეგზოტიკის გამოუსწორებელი ტრფიალი.

... **ბაზრობის** ბოლო დღეები... და უცებ — სასიხარულო ცნობა! საქართველოს განყოფილებას ოქროს მედალი და პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა! ოქროს მედლით დაჯილდოდა ჩვენი სამარკო ღვინოც — „წინანდალი!“

გამარჯვება! რა ბედნიერები იყვნენ იმ დღეს საბჭოთა პავილიონის თანამშრომლები! ამ ბედნიერებას იზიარებდა საქართველოდან ჩამოსული სამოცი ტურისტიც. თუმცა „იზიარებდა“ რასა ჰქვია, თუ ეს ტურისტები გამოფენაზე თავს მასპინძლებად თვლიდნენ და ნამდვილი მასპინძლები იყვნენ კიდეც, რადგან იმ წარმოებებსა და ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, ვისი პროდუქციაც ახლა საგამოფენო ექსპონატებად ქცეულიყო.

ამიტომ ვერ სცილდებოდნენ თავ-თავიანთ სტენდებს „სამტრესტის“, „თბილკონდიტერისა“ და „საქჩაის“ ტექნოლოგები, ფოთელი გემთშემკეთებელი, კიროვის დაზგამშენებელი ქარხნის ინჟინერი...

მშვენიერი ხარ, გამარჯვებავ! განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ათასობით და ასეულ ათასობით ადამიანის თეთრად გატეხილ ღამეს, იმედსა და ოცნებას აგვირგვინებ. განსაკუთრებით მაშინ, როცა შენი კეთილშობილი დაფნის გვირგვინით მეომრის ხანძრალ ჩაფხუტს კი არა, მუშაკაცის ოფლით დაცვარულ შუბლს ამკობ.

რა მშვენიერი ხარ, გამარჯვებავ!

ნანული ბარათაშვილი,
„კომუნისტს“ სპეც. კორესპონდენტი.
პოზნანი — ვარშავა.

● ●

სურათებზე: ზემოთ — საქართველოსადმი მიძღვნილი სპეციალური ჟურნალი — „კრაი რად“; ქვემოთ — საბჭოთა პავილიონი პოზნანის ბაზრობაზე.

მ. გულიევის ფოტო.

ვ. ჟისკარ დესტენის ინტერვიუ „ბერლინერ ფეიგელეტონ“-ისადმი

პარიზი. საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დესტენი აქ გამოვიდა პრესკონფერენციაზე, რომელზეც გააშუქა საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ბევრი სხვადასხვა პრობლემა.

შეეხო რა ამასწინანდელ შეხვედრას ვარშავაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან, საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს სასარგებლო შეხვედრა იყო. განხილვის მთავარი მიზანი, განაცხადა მან, გახლდათ მისწრაფება გვეღონა ის, რაც უნდა ვიღონოთ ხოლმე კრიზისის შემთხვევაში, ანუ აღგვედგინა კონტაქტები და საფუძვლიანად გაგვეზიარებინა აზრი ერთმანეთისათვის ძირითად პარტნიორებს შორის არსებული ვითარების შესახებ.

საფრანგეთის პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა ზოგიერთი საბჭოთა ჯარის ნაწილის ავღანეთიდან გამოყვანა და აღნიშნა: „გამოსაყვანი კონტინგენტის რიცხვი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ეს უდავოდ სასიკეთო ნაბიჯია“.

პრეზიდენტმა გაიმეორა ამ ბოლო თვეებში ავღანეთის ირგვლივ ამტყდარი ამბების თავისი წინანდელი შეფასება, და ავღანეთში ეგრეთ წოდებული „შუალედური მოწესრიგების“ თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წინადადებების შესახებ კითხვის პასუხად თქვა: „მეკითხებით, რას ვფიქრობთ ჩვენ იმ მდგომარეობაზე, რომელსაც ვგეგმავდით პოლიტიკური გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით? მე გიპასუხებთ, რომ ჩემი აზრით, დღესდღეობით არ არის საჭირო რაღაც შუალედური გადაწყვეტის ძებნა. ვგონებ აჯობებდა გვეძებნა საბოლოო გადაწყვეტა, ვინაიდან შუალედური გადაწყვეტის შესაძლებლობანი პირადად მე არ მეგულება“.

ვ. ჟისკარ დესტენმა გაიღიმა ერთ იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთი ავღანელ მეამბოხეებს ეხმარებოდეს. გადაწყვეტა, თქვა მან, შეიძლება მხოლოდ პოლიტიკური საშუალებების შემწეობით გამოიძებნოს. საფრანგეთი კი სწორედ პოლიტიკური გადაწყვეტის ძიების მომხრეა.

ვ. ჟისკარ დესტენმა ყურადღება მიაპყრო ახლო აღმოსავლეთის ამბებს და ხაზი გაუსვა, რომ ისრაელმა უნდა დატოვოს „1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიები, რომლებიც ნამდვილად არაბულია“.

პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ცნონ „პალესტინელი ხალხის სრული თვითგამორკვევის უფლება“ და პალესტინის განთავისუფლების ორორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში.

პრეზიდენტს ჰკითხეს: „საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობა საკმაოდ გართულებული იყო უკანასკნელ ხანს. ხომ არ მომხდარა რაიმე ცვლილება ვენეციის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ? ხომ არ გილაპარაკიათ გულახდილად პრეზიდენტ კარტერთან და გამოიღო თუ არა ამ საუბარმა რაიმე ნაყოფი?“.

ვ. ჟისკარ დესტენმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრების დროს მან შეახსენა კარტერს მიზეზები, რომლითა გამოც საფრანგეთის პოლიტიკა დამოუკიდებელია და ასეთად დარჩება“.

მე ჯ. კარტერს ვაცნობე, თუ როგორ ვაფასებთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობას, კერძოდ, ავღანეთის ამბებთან დაკავშირებთან, ვუთხარი ისიც, თუ როგორ აჯობებს ვიმოქმედოთ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთობლივი მუშაობის გულახდილ ურთიერთობას, მაგრამ რთულ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთი იტოვებს უფლებას ახორციელებდეს თავის საკუთარ ანალიზს და აყენებდეს წინადადებებს

როგორც პარტნიორებისა და მოკავშირეების, ისე სხვა სახელმწიფოების წინაშე.

შემდეგ ჟურნალისტებმა ჟისკარ დესტენს ჰკითხეს „საფრანგეთის ბირთვული ბომბის“ შესახებ. პრეზიდენტმა განაცხადა: „რაც შეეხება მომეტებული რადიაციის იარაღს, თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, 1976 წლის დეკემბერში, მე მივიღე გადაწყვეტილება მისი შექმნის მიზანშეწონილობის ანალიზის მოწყობის შესახებ. ამ ანალიზს შედეგად მოჰყვა აღნიშნული იარაღის შემუშავება და უკვე მოეწყო პირველი გამოცდები. მისი ახლანდელი ვარიანტის წარმოების გადაწყვეტილება შეიძლება 1982-1983 წლებში მივიღოთ“.

საქართველოს დელეგაცია ტიროლში

ინსბრუკი. აქ ჩამოსული საქართველოს სსრ რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო ტიროლის სამხარეო მთავრობის მეთაურის მოადგილემ ფ. პრიორმა. იგი მიესალმა საბჭოთა სტუმრებს და თქვა, რომ ფრიად ახარებს ეს შეხვედრა, რომელიც მოწმობს, რომ წარმატებით ვითარდება მეგობრული ურთიერთობა ტიროლსა და საქართველოს შორის. სამხარეო მთავრობას სწადია კიდევ უფრო გააფართოოს ეს ურთიერთობა, ვინაიდან იგი ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ურთიერთგაგების გაღრმავებას ემსახურება. ფ. პრიორმა ხაზი გაუსვა, რომ ალპურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის განმტკიცებაში დიდი წვლილი შეაქვს ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოებას და მის ტიროლის სამხარეო განყოფილებას.

დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მასპინძლებს გულითადად მიულოცა ინსბრუკის 800 წლისთავი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

კმაყოფილებით შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ საქართველოსა და ტიროლს შორის 11 წლის მეგობრულმა ურთიერთობამ არსებითად გაამდიდრა ჩვენი კონტაქტები, განაცხადა ო. ე. ჩერქეზიამ. სხვადასხვა დონეზე ურთიერთობის მეოხებით ჩვენი რესპუბლიკისა და ტიროლის მოსახლეობამ ბევრი რამ შეიტყვეს ერთმანეთის შესახებ. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების დარგში თანამშრომლობას, რომელსაც უკვე მიენიჭა კონკრეტული ფორმები მაღალი მთის ფლორის კვლევის დარგში. მთელი ეს ურთიერთობა და კონტაქტები სავსებით შეესაბამება ჰელსინკის უშიშროებისა და თანამშრომლობის თამბირის საბოლოო აქტის დებულებებს.

რეგორც საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა ფ. პრიორმა, სულ უფრო მეტი ტიროლელი ჩამოდის საქართველოში, სადაც გულწრფელ მეგობრებს პოულობს. პირადად მე, უკვე ორჯერ ვიყავი ამ შვენიერ ქვეყანაში. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქართველი ხალხის აღმშენებლობითმა შრომამ, მისმა წარმატებებმა ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ტექნიკაში, გზებმა, ხიდებმა, ელექტროსადგურებმა, მეტროპოლიტენის მშენებლობაში, მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყნებს განსხვავებული საზოგადოებრივი სისტემები აქვთ, მათ შეუძლიათ და უნდა ესწრაფვოდნენ კიდეც მეტ ურთიერთგაგებას და მეგობრობის გაღრმავებას. ეს კი არა მარტო მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის კარგი მაგალითია, არამედ გარკვეული წვლილიც შეაქვს მშვიდობის განმტკიცებაში.

საქართველოს სსრ დელეგაცია გაეცნო ალპების სატყეო მეურნეობას, თოვლის ზვავისა და მეწყრისაგან დაცვის ნაგებობებს. დელეგაცია იყო ინსბრუკის ბოტანიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობს, აგრეთვე დაათვალიერა ფირმა „სვოროვსკის“ ლინზებისა და ჭაღების საწარმოები, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სოციალისტურ ქვეყნებთან.

ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲢᲐᲜᲔᲡ

ჰანოი, 28 ივნისი. ვიეტნამელი ხალხის მოღალატეს, რომელიც ჩინელი ექსპანსიონისტებ ი-სა და ჰეგემონისტების ლაქია გახდა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ხოანგ ვან ხოანს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა სახალხო სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში მოღალატის გასამართლების შესახებ, . რომელიც მიმდინარეობდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ფამ ხანგის თავმჯდომარეობით.

სასამართლოზე გამოაქვეყნეს ვიეტნამის სამამული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სხვა მასობრივი ორგანიზაციების წერილები, რომლებშიც მოითხოვდნენ უსასტიკესად დაესაჯათ ხოანგ ვან ხოანი, რომელიც სამშობლოსა და ხალხის მტრების ბანაკში გადავიდა.



ᲔᲜᲐᲬᲐᲒᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲫᲕᲔᲨ.

გ. ლომიძის ნახატი.

სიტყვით თეთრი სახლი მხარს არ უჭერს ისრაელის მიერ დაპყრობილ მიწებზე გასამხედროებული დასახლებების მშენებლობას, საქმით კი ხელს უმართავს აგრესორებს ასეთი პოლიტიკის განხორციელებაში (გაზეთებიდან).

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲐᲠᲨᲘ“ ᲡᲐᲑᲭᲝᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

მადრიდი, 28 ივნისი. „ნატო, რომელიც მილიტარისტულ პოლიტიკას ახორციელებს, ხელს უწყობს ბერძენ-თურქთა კონფლიქტის გაღრმავებას, ეგეოსის ზღვაში დაძაბულობის შექმნას“, — განაცხადა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის თავმჯდომარემ ა. პაპანდრეუმ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, აღნიშნა ა. პაპანდრეუმ, რომ დიქტატურა ჩვენს ქვეყანაში დამყარდა „პრომეთეოსის“ გეგმის რეალიზაციის შედეგად, რომელიც ნატოში შეიმუშავეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბერძნეთის სპეციალურმა სამსახურებმა. „ფროდიტეს“ გეგმის საშუალებით ბერძენმა პოლკოვნიკებმა კვიპროსში მოაწყვეს შეთქმულება არქიეპისკოპოს მაკარიოსის წინააღმდეგ, ხოლო ეგრეთ წოდებული „ატილას“ გეგმა ითვალისწინებდა თურქეთის შეჭრას კვიპროსში. გეგმები „ფროდიტე“ და „ატილა“ აგრეთვე ნატოში შემუშავდა ვაშინგტონის უშუალო ხელმძღვანელობით. ყოველივე ეს მოწმობს, ხაზი გაუსვა მან, რომ ნატო დემოკრატიის მტერია და ძირს უთხრის საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას.

ა.პაპანდრეუმ განაცხადა, რომ წინაღმდეგია „საერთო ბაზარში“ საბერძნეთის შესვლისა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს კონტაქტები საბერძნეთის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთისა და პორტუგალიის სოციალისტურ პარტიებს შორის.

ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲢᲐᲜᲔᲡ

ჰანოი, 28 ივნისი. ვიეტნამელი ხალხის მოღალატეს, რომელიც ჩინელი ექსპანსიონისტებ ი-სა და ჰეგემონისტების ლაქია გახდა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ხოანგ ვან ხოანს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა სახალხო სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა სიკვდილი. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში მოღალატის გასამართლების შესახებ, . რომელიც მიმდინარეობდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ფამ ხანგის თავმჯდომარეობით.

სასამართლოზე გამოაქვეყნეს ვიეტნამის სამამული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სხვა მასობრივი ორგანიზაციების წერილები, რომლებშიც მოითხოვდნენ უსასტიკესად დაესაჯათ ხოანგ ვან ხოანი, რომელიც სამშობლოსა და ხალხის მტრების ბანაკში გადავიდა.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ჰანოი, 28 ივნისი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ ბოლო დღეებში ტაილანდის მმართველი წრეები წამდაუწუმ ამტკიცებენ, თითქოს ვიეტნამის ჯარებმა გადალახეს კამბუჩიის საზღვარი და დაარღვიეს ტაილანდის ტერიტორიული მთლიანობა. ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, თავის მხრივ, ხმაურს ტეხენ ამის გამო და გამოდიან ცილისმწამებლური განცხადებით იმის შესახებ, რომ „ვიეტნამი აგრესიას სჩადის ტაილანდის წინააღმდეგ“. ასეთნი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კუალა ლუმპურის კონფერენცია აგრეთვე მხარს უჭერს მსგავს მონაჯორებს. ყოველივე ეს აშკარად მიზნად ისახავს შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრიობა კამბუჩია-ტაილანდის საზღვარზე ახლანდელი დაძაბულობის მიზეზების შესახებ.

ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც იმედოვნებდნენ სამხედრო წარმატების მიღწევას წვიმების სეზონში და ცდილობდნენ თავიანთი სასარგებლოდ შეეცვალათ მდგომარეობა, აიარაღებდნენ და ინახავდნენ პოლპოტელთა ბანდების ნაშთებსა და ქხმერ რეაქციონერთა სხვა ჯგუფებს, ეძებდნენ ყოველგვარ საშუალებას, რათა ისინი ტაილანდიდან კამბუჩიაში შეგზავნონ ძირგამომთხრელი საქმიანობის მიზნით.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში არტილერიის ცეცხლისა და რაკეტების დაშენის და კამბუჩიის ტერიტორიაზე — პოუსატისა და ბატანბანგის პროვინციების სასაზღვრო რაიონებში მზვერავთა შეგზავნის შემდეგ — ტაილანდის მმართველმა წრეებმა 22 და 23 ივნისს საზღვრიდან გადასხეს ქხმერ რეაქციონერთა ბანდები და დახმარება გაუწიეს მათ ტაილანდის არტილერიის ცეცხლით, ქვეითი ქვეგანაყოფებით, ტანკებითა და სამხედრო-საჰაერო ძალებით. ტაილანდის ამ მოქმედებას მოჰყვა შეიარაღებული შეტაკებები საზღვარზე.

ვიეტნამის ხალხი და მთავრობა, აღნიშნულია დასასრულ დოკუმენტში, მუდამ ესწრაფვიან ტაილანდთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის, მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის განვითარებას.

ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ლუანდა. ანგოლის თავდაცვის სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 7 ივნისიდან დაწყებული სამხრეთ აფრიკის ჯარები შეუდგნენ ანგოლის ტერიტორიაზე შეჭრას. მას შემდეგ, რაც ანგოლის საჰაერო დაცვის ნაწილებმა, ნათქვამია განცხადებაში, ჩამოაგდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების „მირაჟის“ ტიპის სამი თვითმფრინავი, რომლებიც ნამიბიელ ლტოლვილთა ერთ-ერთ ბანაკს დაესხნენ თავს, დაიწყო შემოსევა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ავიაციისა და სახმელეთო ჯარების არტილერიის მხარდაჭერით.

სახალხო ანგოლის წინააღმდეგ აგრესიაში მონაწილეობენ ქვეითთა ბრიგადა, პარაშუტისტთა ორი ბატალიონი, რომელსაც მხარს უჭერს „მირაჟის“ ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენთა სამი ესკადრილია, ორი სატრანსპორტო თვითმფრინავი, 20 ვერტმფრინავი „პუმა“, 32 საარტილერიო ქვემეხი და 40 ჯავშნოსანი მანქანა.

რასისტები, ნათქვამია განცხადებაში, უტევენ დასახლებულ პუნქტებს, ხოცავენ ბავშვებს, მოხუცებსა და ქალებს, აგრევენ საცხოვრებელ შენობებსა და ნაგებობებს.

ამ დანაშაულებრივ აქციებს, ნათქვამია დოკუმენტში, სამხრეთ აფრ

ИОСЕБ ГОНГОШВИЛИ

იაპონიის გზებზე

საგმოთა კავშირისა და იაპონიის მწერალთა კონტაქტების შემდგომი განმტკიცების მიზნით, აპრილ-მაისში იაპონიაში იყო საკავშირო მწერალთა კავშირის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ვიყავით ყაზახეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტი ყუბან მულდაგალიევი, „ლიტერატურნაია გაზეტას“ პასუხისმგებელი მდივანი მწერალი ვალერი გორბუნოვი, იაპონური ლიტერატურის რუსულ ენაზე მთარგმნელი ელენე რედინა, ჩემთან ერთად იმყოფებოდა ავრეთვე ჩემი მეუღლე — თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი.

ბევრი რამ ვნახეთ, ბევრ საინტერესო ადამიანს შევხვედით. იაპონურ გამომცემლობებს შევთავაზეთ საბჭოთა მწერლების, მათ შორის ქართველი მწერლების ნაწარმოებები. ადგვთქვეს განსვენებული ფუკუროს მიერ იაპონურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა. ჩვენმა ძველმა მეგობარმა ხატამ ისურვა ჩამოვიდეს საქართველოში ქართული პოეზიის ანთოლოგიის სათარგმნელად.

იაპონიაში დიდი სიყვარულით ლაპარაკობენ ჩვენს ხელოვნებაზე, საერთოდ ქართულ კულტურაზე, ჩვენს სპორტზე. თუმცა იაპონელები ულვაშს არ უშვებენ, ცნობილი იაპონელი ფალავანი კოგა ახლაც ულვაშმოშვებული დადის ქართველი მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის ხსოვნის პატივსაცემად.

იაპონელ მწერლებთან ერთად უნივერსიტეტებში, კულტურის ცენტრებში ვმართავდით ლიტერატურულ საღამოებს. მე, რასაკვირველია, ლექსებს ქართულად ვკითხულობდი, ხოლო თარგმნებს კითხულობდნენ იაპონელი კოლეგები. დელეგაციის წევრები მსმენელებს ვუამბობდით საბჭოთასა და კერძოდ ჩვენ-ჩვენი რესპუბლიკების ცხოვრებაზე. ბევრი რამ სცოდნიათ საქართველოს უკანასკნელი წლების მოვლენებზე. ამიტომ შეკითხვებს არ მაკლებდნენ.

საპირველმაისო ზეიმი ტოკიოში, იაპონელთათვის საყვარელი საკურას ყვავილებში ჩაფლული ქალაქები, შეხვედრა იაპონელ გლეხებთან, ინტერფანგენციის წარმომადგენლებთან, ხიროსიმას მძიმე შთაბეჭდილებანი, იაპონელი მწერლების მიერ მოწყობილი ვახშამი რესტორან „ქართულ გემოვნებაში“ (რესტორანი დაუარსებია იაპონელს, რომელსაც საგანგებოდ მოსკოვში, რესტორან „არაგვში“ ჰურჭლის მრეცხავად დაუწყია მუშაობა და შეუსწავლია ქართული კერძების დამზადება) და კიდევ მრავალი სხვა გარდაისახება ნარკვევსა და ლექსებში. ახლა კი, როგორც ყოველთვის, „კომუნისტი“ მკითხველებო, პირველად მიწდა ჭაშნიკად თქვენ შემოგთავაზოთ რამდენიმე ლექსი.

ხიროსიმა

შენი ხვედრი,
ყველამ იცის...
ჭრილობა ხარ
დედამიწის.

... ამომავალ
მზის ქვეყნიდან
ირგვლივ შავი
ფერფლი სცრიდა.
მწვერვალიან
ფუძიანად
ზანზარებდა
ფუძიამა.
და იმ დღიდან
ადამის ძეს
გულში შიში
ჩაესახლა...
ყველა
ერის,
ყველა ფერის
ხალხი
სევდით გიმზერს

ახლაც.
ნეტავი მეც
არ მენახე,
ძველი დარდი
განმიახლე.
ის ყუმბარა
მომხვდა მეცა,
მოხვდა მაშინ
ქართულ მზესაც.
ვერ ვიშიშვლე
ხმალი ჩემი —
სისხლის ძმათა
დასახსნელი.
მეც დამჩხავლა
იმ ყორანმა,
დღეს რომ გუდოგს
ოკინავას,
და კვლავ სევდად
ჩამრჩა გულში
ლაზისტანი,
არტანუჯი...
ოკინავა,

ოკინავა,
ის ყორანი
გვიმზერს ავად...
მაგრამ შენთა
შვილთა ძახილს,
შემართებას
ჩვენი ხალხის
ვერ ჩაახშობს
რისხვა ომის,
ატომი თუ
ნეიტრონი.
მინდა მოგიგონო
ხშირად,
ხიროსიმა...
მაგრამ გახსენებაც
ერთი,
არის მართლაც
ჯოჯოხეთი...
შენი ხვედრი.
ყველამ იცის...
ჭრილობა ხარ
დედამიწის.

ქართული რესტორანი იაპონიაში

გზაზე,
უცხოეთში,
რა არ გელოდება...
წავაწყდი რესტორან
„ქართულ
გემოვნებას“.
ჯიბე მოვისინჯე,
თუმცა არა მშია...
აქ უნდა დავხარჯო,
თუ რამ გამაჩინა.
ბუხარში სამწვადედ
ბრწყინავს
მუგუზალი,

ჭიქაშიც მუქწითლად
ღვინის „მუკუზანი“.
ეტყობა ქართველის
შემოსვლა ენიშნა,
კუთხიდან მიღიმის
ლამაზი გეიშა.
ცოლი მეჩხუბება:
— არსად გაიშვები...
გეყო,
ნუ შეჭამე
თვალით გეიშები.
... თამადა აკლია,
გაგვიხსნას გუნება,

თორემ პურმარილი
არ დაიწუნება.
„მრავალჟამიერი“
მოსჩქეფს
ღვინოსავით
და შავი მუშამბით
მოდის
ფიროსმანი.
... ასე,
რა შორეულ
გზას არ გავუყვები,
მხვდება
საქართველო,
მარად განუყრელი.

საკურა—იაპონელთა საყვარელი ყვავილი

ტოკიოს ქუჩებში,
რალაც სასწაულად,
ვით დილის რიჟრაჟი,
ბრიალებს საკურა.
ატმის ყვავილების
მსგავსი
ფეროვნებით,
ხე არის თუ ფუნჯი,
ღვთიურ
ხელოვნების.

ხე არის თუ ლოცვად
შემდგარი ასული
ლაჟვარდს უერთდება
სულით, ზე ასულით.
ყვავილი ციმციმებს
ქალწული საკურის
თუ ლამაზმანების
ჟრიალებს საყურე?!
საკურა საკურას

ეკვრება კალთებით
და დგას მთელ
ქალაქში
ყვავილთა ნათელი.
... ასე, ალისფერი,
დილით ცის
თალვით,
გომბორზე მინახავს
აისი დაღვრილი.

ბალადა ერთგულებისა

I.

... და ჰაი გიდი, შეჯიბრზე მაშინ
ალმოჩნდა მსაჯი
ისეთი მკაცრი,
არად ჩააგდო თურმე ულვაში —
თავმოწონება
ქართველი კაცის.
დიახ, უბრძანა ქართველ ფალავანს,
დაუმარცხებელ ჭაბუკ რუბაშვილს...
— ხედავ?.. მეტოქეს შენსას არა აქვს,
გაიპარსეო ჩქარა ულვაში.
რა ეროვნული... ამაოდ დაობ,
ვერ გამიგია... არც მსურს გაგება...
არ გაიპარსავ? არ იჭიდავებ
და ჩაგეთვლება, როგორც წაგება.
ვი დედასა... რა ქნას ჭაბუკმა,
(ამ დროს ღმერთებიც აღელდებიან...)
საგულეს გული ბორგავს ქარბუქად,
თვალები — ბოლმის ნაღვერდლებია.
მსაჯს ეს ონი რატომ დასჭირდა?
აბა რა უთხრას ოჯახს, მეგობარს...
რომ შეასრულოს ყინი მსაჯისა
წაქცევ-დაჯაბნად ესეც ეყოფა.
და ის ქართველი გროშად არა ღირს,
(ამ ფიქრმა გული უფრო დაკანრა),
ვინც სხვისი ყინით, სხვისი კარნახით
ულვაშს მოუშვებს ან გაიპარსავს.
რუბაშვილი ხომ გორელი არის...
(დამძიმდა იჭვით და მოგონებით...)
მსაჯს იქნებ ჯავრი
სჭირს მთავარსარდლის,
ულვაშებიან დიდი გორელის?....
სხვას ვის გასვლია მსაჯთან კამათი
(მსაჯთან მართალნიც უკუ დგებიან...)
— არ ვიჭიდავებ! ბედის კამათელს
კოგასთვის ქულა ურგუნებია...
— არც მე ვჭიდაობ! — აღმოხდა კოგას,
იაპონიის განთქმულ ფალავანს.
მოგება ჩემი წაგებას მოგავს,
მსგავს გამარჯვებას ჩვეულ არა ვარ!...

მე ჩემს მეტოქეს
თავყვანს ვცემ ძმურად,
რაინდიც არის და ღონეც ერჩის.
ამიერიდან მეც ვუშვებ ულვაშს,
რომ განსხვავება არ იყოს ჩვენში.

II

და ასე დასცილდნენ,
ვით ძმა ძმას სცილდება...
მათ ძმურ განშორებას ვინ არ შეაქებდა...
ორივეს სწყუროდა სპორტული დიდება,
მხოლოდ რაინდული შებმა, შემართება.
მაგრამ, რუბაშვილის
გზები აიბურდა,
გზები დაიხლართა თბილისში, უეცრად.
მანქანით თბილისის
ცის ქვეშ დაიღუპა...
რას მოსთხოვ შემთხვევას, ბრმასა და
უმეცარს.

და თუმცა ოდითვე
კოგას ქვეყანაში
ულვაშს არ უშვებენ, სხვა წესი ჰქონიათ,
იმ ტკბილ მოგონებად
ქართველი ძმაკაცის,
შავი ულვაშები უხდება გოლიათს.
შავი ულვაშებით
და გულზე იარით
დადის ერთგულების შუქმადლით გამთბარი.
დარდობს
ძმადნაფიცი რატომ იგვიანებს,
ნელი ნელს მიჰყვება და ზაფხულს ზამთარი.
... მეც მსურს დავასრულო ასე ნაღელიანი
მათი რაინდული, მწუხარე ამბავი.
მინაწერი:
მაგრამ ეს ბალადა
როდი დასრულდება,
ვიდრე სიტყვის კაცი კიდევ გვეგულება,
ვიდრე ამ ძნელ დროში
სუფევს სასოება,
ვიდრე კიდევ ფასობს ქვეყნად ერთგულება.

ტოკიო, კიოტო, ნარა...

ტოკიო... კიოტო... ნარა...
ამდენი ხეტიალი კმარა.
აქაც, სხვა ქვეყნების გზებზეც,
რას დახვალ, აბა რას ეძებ.
აქ რას მოუპოვებ ნეტავ
სამშობლოს -- საყვარელ დედას?!
— მინდა, ჩემო ტკბილო ხალხო,
მთელი დედამინა ვნახო...
შენი გულის სითბო წმინდა
ყველას ვაგრძნობინო მინდა,
ამ გზებზე რამდენი ვნახე
აქებს შენს მზესა და სახელს.
მაგრამ ცის ქვეშეთში, კარგო,
ვნახე, კვლავ ბევრია „არგო“,
რომ ძუძუ აიგსოს ბერნი,
მედეა და ოქროს ვერძი
მოგვტაცოს, ისე, ვით ძველად,
ბულბული დაგვიძიძგნოს ძერამ.
ტოკიო... კიოტო... ნარა...

მგოსანო, დამშვიდდი, წყნარად...
ვიდრე
მზე ჩვენს სულში სახლობს,
მტერიც და მოყვარეც გვახსოვს,
ვიდრე სიცოცხლეზე მეტად
გვიყვარს საქართველო — დედა,
ვიდრე განა მარტო ტევრი
ან სიტკბო კურთხეულ მტევნის,
გვიყვარს ჩვენი მიწის მტვერიც —
ვერაფერს დაგვაკლებს მტერი!..
მაშ, ნუღარ დაგლიან გზები,
იარე ჭაბუკურ გზნებით,
რომ მთელს დედამინას ამცნო,
ამცნო უცნობსა თუ ნაცნობს,
დღესაც,
როგორც წარღვნის წინათ,
ჩვენი მზე
კვლავ ცაზე ბრწყინავს!

იაპონია — საქართველო.

ОЛИМПИАДА 80-ИС ПОЛОЛОДИНЗЕ

ვაგრძელებთ საუბარს რუბრიკით „ოლიმპიადა-80“-ის მოლოდინში. ახლა, როცა ოლიმპიადის საზეიმო გახსნამდე ჯერ დღე დარჩა, კიდევ რამდენიმე სახეობის სპორტის წარმომადგენლებზე — ფრენბურთელებზე, ხელბურთელებზე, კალათბურთელებზე, თანამედროვე ხუთჭიდელებზე, ცხენოსნებზე და ბალახის ჰოკეისტებზე მოგითხროთ.

ფრენბურთი. ოლიმპიადაში საქართველოდან ერთადერთმა ფრენბურთელმა — **ვაჟა კაჭარავამ** იასპარეზა და ამასთან დიდი წარმატებით. მან **ტოკიოში** (1964 წელი) თანაგუნდელებთან ერთად ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში (1956, 59, 63, 67, 71, 75 და 1979 წლებში) საქართველოს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდებმა შესაბამისად ასეთი ადგილები დაიკავეს: X, VIII, III, IX, XI, X და VIII; ქალებმა — VI, IX, VIII, IX, IX, XII და XII. როგორც ხედავთ, ჩვენმა ფრენბურთელმა ვაჟებმა ოდნავ უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრეს უკანასკნელი სასპარტაკიადო შეჯიბრება, ქალთა გუნდი კი იმავე პოზიციაზე დარჩა. სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადიდან მოკიდებული ამ სახეობის სპორტში ულიმდამო მდგომარეობა დღემდე გრძელდება. მხოლოდ ერთხელ ვაჟთა გუნდმა იმარჯვა მესამე სპარტაკიადაში და საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. ეს იყო და ეს! ცხადია, ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ორგანიზაციების უმრავლესობაში ფრენბურთის განვითარებისთვის ჯერჯერობით არ ზრუნავენ, ჩვენს საკლუბო გუნდებს „სპარტაკსა“ (ვაჟები) და „ქარიშხალას“ (ქალები) პირველ ლიგაში მოასპარეზეთა შორის საშუალოზე დაბალი შედეგები აქვთ. ვერც ბავშვთა ფრენბურთის აღმავლობით დაკმაყოფილებულ ვერც სპორტული ბაზებითა და ინვენტარით გავკვირვებთ ვინმეს...

ხელბურთი. ისევე როგორც ფრენბურთში, საქართველოდან ოლიმპიადაში ერთადერთმა ხელბურთელმა **ალექსანდრე ანპილოგოვმა** სცადა ძალა და დიდი წარმატებითაც. მან **მონრეალში** (1976) თანაგუნდელებთან ერთად ოლიმპიური ქვაცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგა ფეხი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები გუნდების შედეგები ასეთია: (ამ სახეობის სპორტი სპარტაკიადების პროგრამაში პირველად 1971 წელს შეიტანეს): ვაჟებმა შესაბამისად IV, III და V ადგილები დაიკავეს; ქალებმა — IX, XI და VI. მაშ ასე, ბოლო სპარტაკიადაში ქალებმა სამი ადგილით წაიწიეს წინ, ვაჟებმა კი ორი ადგილით დათმეს პოზიციები.

ჭიდაობა. ოლიმპიადაში საქართველოს ჭიდაობის ოსტატებმა — **ვაჟა კაჭარავამ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) **ტოკიოში** (1964 წელი) **მონრეალში** (1976) **ზურაბ საკანდელიძემ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) **ტოკიოში** (1964) **ზურაბ საკანდელიძემ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) **მიხეილ ქორქიამ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) **მონრეალში** (1976) — **მიხეილ ქორქიამ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს კალათბურთელთა შედეგები ასეთია: ქალებმა შესაბამისად IV, V, XIII, X, VI, XIII და XIV ადგილები დაიკავეს; ვაჟებმა — IX, II, VII, VII, IV, III და V ადგილები. წინა ასპარეზობებთან შედარებით ჩვენმა ქალებმა ბოლო სპარტაკიადა უარესი შედეგით დაამთავრეს, ხოლო ვაჟები მეექვსე სპარტაკიადასთან შედარებით მეშვიდეში ორი ადგილით ჩამორჩნენ. ქალთა კალათბურთში ჩამორჩენას როგორღაც თვალი შევაჩვიეთ, მაგრამ ფარ-ხმლის დაყრა ვერაფერი ვაკეთებთ. და ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ ამ ვირუსმა შეიძლება ვაჟთა კალათბურთშიც გადაინაცვლოს, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო ხანს ჭაბუკი კალათბურთელების დოსტატების საქმეშიც შეიმჩნევა უკანდახევის ტენდენციები. მართალია, დინამოელთაგან ერთი — **ნიკოლოზ დერიუგინი** ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია, რამდენიმე ახალგაზრდაც აღმავალი გზით მიდის, მაგრამ თანამედროვე კალათბურთში ერთი და ორი ნიჭიერი სპორტსმენით ფონს რომ ვერ გახვალ, ისიც ნათელია. მინი-კალათბურთიდან დიდ სპორტამდე გზა ძნელად სავალია და, უფრო მეტიც, საერთაშორისო კლასის დონის სპორტსმენის აღზრდას ახლა გაათკეცებული შრომა და ჯაფა სჭირდება. გასარკვევია სწორედ ეს საკითხი, ერთმანეთ თუ არა თავს ამ ამოცანას მოკიდოლ ეტაპზე ჩვენი სპეციალისტები, და თუ არა, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩარხი წაღმა დავატრიალოთ. გასარკვევია ისიც, როგორია წვრთნის ხარისხი ასობით ჯგუფსა და კოლექტივში, აკმაყოფილებს თუ არა ამა თუ იმ მწვრთნელის კვალიფიკაცია იმ მოთხოვნებს, რომლებიც თანამედროვე კალათბურთის განვითარების გზამ წარმოშვა. ცხადია, ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას თვით მწვრთნელებმა და სპორტული ორგანიზაციების მესვეურებმა უნდა მოაბან თავი. კალათბურთი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ დროს ისე შემოიჭრა, ისე შეესისხლხორცა ჩვენს ჯაბუკებს, რომ ლამის ეროვნულ სახეობად, რესპუბლიკის სპორტული ღირსების საქმედ იქცა, ახლა კი, სამწუხაროდ, მან ძველებური ბრწყინვალება დაკარგა და ამგვარი ფერისცვალების ტენდენციის დროზე თუ არ მოვუჭრით გზას, მერე გვიანღა იქნება.

თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა და ბალახის ჰოკეი. ამ სახეობათა სპორტის წარმომადგენელთაგან საქართველოდან ოლიმპიადაში ჯერ არავის უსასპარეზია და არც მოსკოვის ოლიმპიადაში ველით მათს გამოსვლას.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა თანამედროვე ხუთჭიდში შესაბამისად VII, V, X, XI, XI, X და VI ადგილები დაიკავეს; ცხენოსნობაში—VIII, X, XI, VIII, XI, XI და VII ადგილები; ბალახის ჰოკეი პირველად 1979 წლის სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს და საქართველოს სპორტსმენებმა X ადგილი დაიკავეს. ჩვენი რესპუბლიკის ბალახის ჰოკეისტებმა რომ X ადგილი დაიკავეს, დასაწყისისათვის ურიგო არ არის. მთავარია, რომ ახალი სახეობის სპორტს ჩვენში განვითარების საფუძველი ჩაეყარა. ცხადია, მისი ფესვების მომძლავრებისათვის უნდა ვიზრუნოთ, რაც შეეხება თანამედროვე ხუთჭიდსა და ცხენოსნობას, წინა სპარტაკიადასთან შედარებით ამ სახეობებში ოთხ-ოთხი ადგილით წავიწიეთ წინ. ეს უთუოდ ჯარგი სიმპტომია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღებულ ტემპს არ შეეანელებთ და ვინ იცის, არც ის დროა შორს, როცა ოლიმპიადაშიც ვიხილავთ ამ სახეობათა სპორტის საქართველოს წარმომადგენლებს.

ჯ. ენუქიძე.

მომავლის იმედით

მაგრამ იმასაც შევნიშნავთ, რომ ამის მერე ვაჟებმა საკლუბო გუნდებს შორის წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს და მესამე საპრიზო ადგილზე დავიდნენ. „ქარიშხალას“ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვაყნების თასების მფლობელთა შორის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა და ეს უთუოდ ამ სახეობის სპორტის განვითარებისათვის დიდ სტიმულად უნდა იქცეს.

კალათბურთი. საქართველოდან ოლიმპიადებში რვა კალათბურთელმა იასპარეზა: **ჰელსინკში** (1952) — **ოთარ ქორქიამ** და **ნოდარ ჯორჯიკიამ** (მიიღეს ვერცხლის მედლები), **რომში** (1960) **ბურამ** **მინაშვილმა** და **ვლადიმერ უგრეხელიძემ** (ვერცხლის მედლები), **ტოკიოში** (1964) — **ლევან მოსეშვილმა** (ბრინჯაოს მედალი), **მეხიკოში** (1968). — **ზურაბ საკანდელიძემ** და **სერგი კოვალენკომ** (ბრინჯაოს მედლები). კოვალენკომ მომდევნო ოლიმპიადაში ოქროს მედალი მიიღო უკვე როგორც უკრაინის წარმომადგენელმა, **მიუნხენში** (1972) — **ზურაბ საკანდელიძემ** და **მიხეილ ქორქიამ** (ოქროს მედლები), **მონრეალში** (1976) — **მიხეილ ქორქიამ** (ბრინჯაოს მედალი).

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს კალათბურთელთა შედეგები ასეთია: ქალებმა შესაბამისად IV, V, XIII, X, VI, XIII და XIV ადგილები დაიკავეს; ვაჟებმა — IX, II, VII, VII, IV, III და V ადგილები. წინა ასპარეზობებთან შედარებით ჩვენმა ქალებმა ბოლო სპარტაკიადა უარესი შედეგით დაამთავრეს, ხოლო ვაჟები მეექვსე სპარტაკიადასთან შედარებით მეშვიდეში ორი ადგილით ჩამორჩნენ. ქალთა კალათბურთში ჩამორჩენას როგორღაც თვალი შევაჩვიეთ, მაგრამ ფარ-ხმლის დაყრა ვერაფერი ვაკეთებთ. და ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ ამ ვირუსმა შეიძლება ვაჟთა კალათბურთშიც გადაინაცვლოს, მით

ოლიმპიური მედალი! განა იქნება სპორტსმენი, მის დაუფლებაზე არ ოცნებობდეს? მარცხნივ მედლის წინა მხარეა აღბეჭდილი, მარჯვნივ — უკანა. მედლის ესკიზის ავტორია მოსკოველი მხატვარი ილია პოსტოლი.

სიტყვა — სპეციალისტებს

რომორ ვემზადებით ოლიმპიადისათვის, რას ვფიქრობთ სამერმისოდ? „კომუნისტის“ კორესპონდენტის ამ კითხვაზე ამჯერად ფრენბურთის, ბალახის ჰოკეის, ხელბურთის, კალათბურთის, თანამედროვე ხუთჭიდისა და ცხენოსნობის სპეციალისტები გვიპასუხებენ:

ვლადიმერ გელაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ფრენბურთისა და ბალახის ჰოკეიში.

—უკანასკნელი სპარტაკიადის შემდეგ ჩვენ გარკვეული ნაბიჯი გადავდგით ფრენბურთელთა უკეთ მომზადების მიზნით. განსაკუთრებული მუშაობა მართებთ მოზარდთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელებს. ბავშვთა ფრენბურთი თუ სათანადოდ არ განვავითარეთ, ხელშესახებ შედეგებს ვერ მივაღწევთ. ოლიმპიური რეზერვების სკოლა ვერაფერს გახდება, თუ მან მართლაც ღირსეული შევსება არ მიიღო. ახლანდ ფრენბურთის ახალი ფედერაცია ავირჩიეთ, ვფიქრობთ, იგი მხარში ამოუდგება საქართველოს სპორტკომიტეტს და ჩვენთან ერთად იზრუნებს არა თუ თბილისში, არამედ საქართველოს რაიონებში ფრენბურთის პოპულარიზაციისათვის, მაგ. შემდგომი განვითარებისათვის, სპორტსაზოგადოებებში ბავშთა ჯგუფების შექმნისა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ბალახის ჰოკეი რესპუბლიკაში არცთუ დიდი ხნის წინათ დაინერგა. ჩვენ პირველ ნაბიჯს ვდგამთ და ვიმედოვნებთ, რომ ამ სახეობის სპორტსაც გაუჩნდებიან თაყვანისმცემლები. ამჟამად ქუთაისის „ლოკომოტივის“ ვაჟთა გუნდი პირველ ლიგაში თამაშობს, საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ემზადებიან ბათუმისა და სოხუმის ქალთა, აგრეთვე ბათუმისა და თბილისის ვაჟთა გუნდები.

ვლადიმერ მურადოვი,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ხელბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

— **ჩვენ** ერთობ გვახარებს, რომ ახლო მომავალში მწყობრში ჩადგება „ქარიშხალას“ ახალი სპორტული კომპლექსი, სადაც ფართო შესაძლებლობანი მიეცემათ ხელბურთელებს შემდგომ დაოსტატებაში. ამავე საზოგადოებაში შეიქმნა მოზარდ ხელბურთელთა სპეციალიზებული სკოლა, რომელსაც წარსულში ცნობილი ხელბურთელი ჯემალ აბაშვილი ხელმძღვანელობს. ჩვენი ყურადღების ცენტრშია პერიფერიები. ცხადია, იქაც უნდა ვეძიოთ რეზერვები, სხვანაირად ოსტატთა ღირსეული ცვლის მომზადება გაგვიჭირდება. მომავალი სპარტაკიადისათვის მზადების სპეციალური გეგმა გვაქვს შემუშავებული, დაგეგმილი გვაქვს აგრეთვე საერთაშორისო შეხვედრები, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ჩვენი გუნდების შემდგომ დაოსტატებას.

გონდო ნიკურაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი კალათბურთში, საკავშირო კატეგორიის მსჯი.

ამოსკოვის ოლიმპიადისათვის საქართველოდან ნიკოლოზ დერიუგინი რომ ეთამაშა, ეს ყველამ იცის. რაც შეეხება მომავალი სპარტაკიადისათვის მზადებას, უკვე კარგა ხანია შევუდექით. აქცენტი ძირითადად ახალგაზრდებზე გვაქვს აღებული. ქართული საბჭოთა კალათბურთის აღორძინებისა და განმტკიცების საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს რესპუბლიკის კალათბურთის ფედერაცია. დაკომპლექტებულია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდები, რომელთაგან ვაჟების ხელმძღვანელობს ლევან ჩხეიძაძე, ხოლო გოგონებს — ანტონ კაზანჯიანი. ორივე კოლექტივი თავდაპირველად 1982 წლის საკავშირო ახალგაზრდულ ასპარეზობაში ცდის ძალებს (კალათბურთელთა ასპარეზობა თბილისში მოეწყობა), შემდეგ კი ისინი, ვინც აქ თავს გამოიჩენს, მოზრდილთა ნაკრებ გუნდებს დაეხმარებიან. „ქარიშხალას“ ქალთა გუნდის გადაუდებელი ამოცანაა იბრძოლოს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლების მოპოვებისათვის.

წინ ვერ წავიწევთ, თუ ბავშვთა სპორტსკოლებში მუშაობა არ გაუმჯობესდა. ამასთან იმასაც შევნიშნავთ, რომ ამ სკოლებში ერთობ მცირეა გოგონათა ჯგუფების რაოდენობა, „ბურევესტნიკისა“ და „დინამოს“ გარდა. სხვა სპორტსაზოგადოებებს არათუ გუნდები, ბავშვთა ჯგუფებიც არა ჰყავთ. ნაკლებად ტარდება შეჯიბრებები და სხვა. ერთი სიტყვით, ნაკლი ბევრია და, ცხადია, ამის მოთმენა არ შეიძლება. განა მტკიცება უნდა იმას, რომ ეს დიდად აფერხებს რესპუბლიკაში კალათბურთის განვითარების საქმეს?

რევაზ მანჯავიძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდსა და ცხენოსნობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

— **ოგიგეხსენებათ,** ბოლო სპარტაკიადაში ჩვენმა თანამედროვე ხუთჭიდელებმა და ცხენოსნებმა ურიგოდ არ იასპარეზეს. გარკვეული წინსვლა კიდევ მეტს გვაჯალებს. მომავლისათვის კიდევ მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ორივე სახეობის სპორტში იმუდებს ძირითადად ახალგაზრდებზე ვამყარებთ. მართალია, ოლიმპიურ ნაკრებში ამჟამად არავინ გვყავს, მაგრამ ცხენის გაწვრთნაში შესამჩნევად დაწინაურდნენ მურმან კიკიანი და ინონა კოჟინა. ორივე საკავშირო ნაკრების კანდიდატები არიან და მათი ამოცანაა მომდევნო ოლიმპიადისკენ გაიაზრონ. [illegible] თანამედროვე ხუთჭიდელთა შორის კარგი შედეგები აქვს ბრიზგალოვს. მან წლეულს ორჯერ — ალმა-ათაში და ვილნიუსში გამართულ შეჯიბრებებში II ადგილები დაიკავა და ორჯერვე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. თანამედროვე ხუთჭიდში ახალგაზრდული კონტინგენტი არცთუ ძლიერი გვყავს და, ამ მხრივ ბევრი მუშაობა გვმართებს. რაც შეეხება ცხენოსნობას, ამ სახეობის სპორტში ახალგაზრდული ნაკრები ძლიერი ბირთვია. ეს ბირთვი ახალ-ახალ ადამიანებით ივსება. ამ სახეობის სპორტში ახალგაზრდული ნაკრები ძლიერ კასტენიანი. ორივე კოლექტივი თავდაპირველად 1982 წლის საკავშირო ახალგაზრდულ ასპარეზობაში ცდის ძალებს (კალათბურთელთა ასპარეზობა თბილისში მოეწყობა), შემდეგ კი ისინი, ვინც აქ თავს გამოიჩენს, მოზრდილთა ნაკრებ გუნდებს დაეხმარებიან. „ქარიშხალას“ ქალთა გუნდის გადაუდებელი ამოცანაა იბრძოლოს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლების მოპოვებისათვის.

ბოლოს **ბოლოს** **ბოლოს**

ბოლოს **ბოლოს** **ბოლოს**

ჩემპიონთა გალერეა







ვაჟა კაჭარავა. დაიბადა 1937 წლის 2 იანვარს; 1965 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; 1964 წელს ფრენბურთში ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ზურაბ საკანდელიძე. დაიბადა 1945 წლის 9 აგვისტოს; 1967 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; 1972 წელს კალათბურთში მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, 1968 წელს კი მეხიკოში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

მიხეილ ქორქია. დაიბადა 1948 წლის 10 სექტემბერს; 1972 წლიდან სპორტის დამსახურებული ოსტატია; 1972 წელს კალათბურთში მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ხოლო 1976 წელს მონრეალის ოლიმპიადაში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

ალექსანდრე ანპილოგოვი. დაიბადა 1954 წლის 18 იანვარს; 1976 წლიდან სპორტის დამსახურებულია ოსტატია; 1976 წელს ხელბურთში მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ოლიმპიური სოფელი გაიხსნა

27 ივნისს მოსკოვში, ოლიმპიური სოფლის ეზოთა მოედანზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის ალმები აღიმართა — მწყობრში ჩადგა 22-ე ოლიმპიადის ერთერთი უდიდესი ობიექტი.

გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოსვლისას მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ო. პრომისლოვმა აღნიშნა, რომ მოსკოველმა მშენებლებმა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ყველაფერი იღონეს, რათა შეექმნათ კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ოლიმპიელთა დასვენებისა და წვრთნის კარგ პირობებს. მოსკოვის საბჭოს აღმასკომის დავალებით მან ოლიმპიური სოფელი გადასცა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის განკარგულებაში.

„ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ტ. ნოვიკოვმა ყველა მშენებელს უღრმესი მადლობა მოახსენა საუცხოო ოლიმპიური კომპლექსის შექმნისათვის.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

საბოლოო შედეგები

, ᲒᲣᲨᲘᲜ დამთავრდა საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) უკანასკნელი ტურის შემდეგ გადადებული პარტიები. ნეურონოვ-ეფიმოვი და ჩიგოგიძეზაიჩიკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია: საქართველოს ახალმა ჩემპიონმა აზმაიფარაშვილმა მოაგროვა 13 ქულა, მეორე-მესამე ადგილები 11,5-11,5 ქულით გაიყვეს ნანა ალექსანდრიამ და სტურუამ, 9,5 ქულით მეოთხეა ზაიჩიკი, 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს ჩაჩიბაიამ, ეფი